# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი 25 დეკემბერი 1998 №237 (772) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერაციას არც ფული აქვს, არც ვალი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მისამართი რომ შეიცვალა, ალბათ გეცოდინებათ — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობის მეორე სართულზე გადაბარგდა. იქაურობა კოსმეტიკურად შელამაზდა და საქმიანობაც დაიწყო, ოღონდ, გუშინდლამდე უფროსების გარეშე. პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია უეფას სტუმრობდნენ. შვეიცარიიდან გუშინწინ დაბრუნდნენ, გუშინ კი ჟორდანია და ჩოლარია გვერდი-გვერდ კაბინეტებში დასხდნენ. საქმე უამრავი ჰქონდათ. სტუმრები, უეფადან ჩამოტანილი საბუთების განხილვა, სახელმწიფო კანცელარიაში სადღეისო შეხვედრის სამზადისი, თანამშრომლებისთვის სამი თვის გადაუხდელ ხელფასებზე ფიქრი... ერთი სიტყვით, ორივე ძალიან დაკავებული გახლდათ. თუმცა საღამოს ვალერი ჩოლარიამ მოიცალა, ახალ კაბინეტში მიგვიპატიჟა და შვეიცარიული ამბებიც გვიამბო.*



ვალერი ჩოლარია

— უეფას თითქმის ყველა კომიტეტის თავმჯდომარეს შევხვდით, გავიცანით. რაც უმთავრესია, ყველაფერში დახმარებას დაგვპირდნენ. ვიყავით ნიონის ბანკში, სადაც ჩვენს ფედერაციას ადრე ანგარიში ჰქონდა გახსნილი და გადავწყვიტეთ მათთან თანამშრომლობის საკითხი. ისიც ვუთხარით ბანკირებს, რომ თბილისში ფედერაციის ანგარიში „საქართველოს ბანკში“ გაიხსნება და ნომერს დამატებით გაცნობებთო.

ხვალ რეგისტრაციაში გავატარებთ წესდებას, რომლის შესაბამისადაც განვაგრძობთ მუშაობას.

**— ყველაფერში დახმარებას დაგვპირდნენო, თქვით. ყველაფერში რა იგულისხმეთ?**

— ძირითადად სამი საკითხი: უეფას საშეჯიბრო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ჩვენეული ვარიანტი წარვუდგინეთ: აგერ, ბატონო, ყველა საფეხური, რაც უნდა გავიაროთ, დეტალურადაა ახსნილი. საბოლოოდ ერთზე შევჩერდით, ხელიც მოგვიწერა და დაგვიდასტურა, რომ, მისი აზრით, საქართველოს პირობებისთვის ყველაზე უპრიანი თორმეტგუნდიანი ჩემპიონატი იქნება. ახლა ამას დავამუშავებთ, ცოტას კიდევ ჩავასწორებთ.

საშეჯიბრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ფიფას რეიტინგში საქართველოს ადგილი გადათვალა და გვითხრა, ფეხბურთის თამაში იცით, თქვენ არ ხართ მე-100 ან 120-ე ქვეყანა, გირჩევთ, ჩემპიონატში 12 გუნდი დატოვოთ, ოთხწრიანი სისტემაც არ გამოგადგებათო.

მერე ფინანსისტებსაც ვესტუმრეთ. იმის ნაცვლად, რომ ყოველწლიურად მატერიალურ-ტექნიკურად შეგვეწიონ, ვთხოვეთ, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სხვა ქვეყნებში თამაშებისთვის მზადების პერიოდი დაგვიფინანსონ, რადგანაც დღეს ძალიან გვიჭირს. სასტუმროს, კვების, თვითმფრინავის ხარჯების დაფარვა ჩვენთვის დიდი შეღავათი იქნება. ისიც ვუთხარით, რომ დანარჩენ ნაკრებ გუნდებს თავად მივხედავთ.

მესამე საკითხიც ფულს შეეხებოდა. მსაჯებისა და სპეციალისტების ცოდნის გასაღრმავებლად მათი უცხოეთში მივლინებების აუცილებლობაზე ვთქვით. წინასწარი მოლაპარაკებით ესეც დადებითად გადაწყდა. მართალია, ჯერ ვერავინ მოგვცა იმის გარანტია, რომ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ მოხდება, ვინაიდან ყოველივე ალმასკომის დასამტკიცებელია, მაგრამ, ვფიქრობ, საქმის საბოლოოდ მოგვარებას ბევრიც არაფერი აკლია.

ერთი სიტყვით, რაზეც ძირითადად ვილაპარაკეთ, გითხარით. დანარჩენი შეხვედრები უფრო პირადად გაცნობისა იყო. სხვათა შორის, ვინც პირველად შეხვდა მერაბ ჟორდანიას, ყველამ აღნიშნა, დაუსწრებლად გიცნობთ, თქვენზე ბევრი გვსმენიაო. პრობლემა არსად შეგვქმნია. გულთბილად გვმასპინძლობდნენ.

**— როგორც ვიცით, ფეხბურთის ფედერაციას შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში ვალი ჰქონია.**

— იმ ბანკიდან ფედერაციას კრედიტი ჰქონდა აღებული, ფულის გასტუმრების გარანტად კი უეფა ითვლებოდა. ეს აღარ არის სადარდო. ყველაფერი მოგვარებულია, თანხა გადახდილია. ახლა არც ვალი გვაქვს, არც ფული.

**— „ტელესპორტის“ წარმომადგენლებს თუ შეხვდით?**

— დიახ. საკმაოდ ნორმალური დიალოგი გამოგვივიდა. მათ პირდაპირ გვითხრეს — ჩვენ ვაკეთებდით იმას, რასაც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა გვთხოვდა, ახლა კი თქვენ სულ სხვა მოთხოვნები გაქვთ, თუმცა ეგ არაფერი, ჩვენ მზად ვართ სათანამშრომლოდ. თბილისში დაბრუნებისას მოამზადეთ ახალი წინადადებები და გამოგვიგზავნეთო — ასე გვითხრეს „ტელესპორტის“ შეფებმა. საკვირველია, არა? ეს ფირმა იმას აკეთებდა, რასაც ფედერაციის ძველი ჩინოვნიკები ითხოვდნენ. ეტყობა, ქართულ მხარეს „ტელესპორტისთვის“ მეტი არც უთხოვია. აი, ერთი პუნქტი: კონტრაქტში წერია, რომ ფირმას ეროვნული ნაკრების ათდღიანი შეკრება უნდა დაეფინანსებინა. იმავე პუნქტში კი ფედერაციის ხელმძღვანელობის მივლინებების ხარჯებიც ჩაუწერიათ, რაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14-16-დღიან დასწრებას გულისხმობს. ჩვენ ვუთხარით, ადრე თუ 14-დღიან შეკრებას უზრუნველყოფდით, ათამდე რატომ ჩამოხვედითო. თქვენებმა ასე მოისურვეს და გვითხრეს, ნაკრებისთვის განკუთვნილი ოთხი დღის თანხა ჩვენი მივლინებებისთვის გამოყავითო. რაღა გაეწყობოდა, მერაბ ჟორდანიამ უპასუხა, აწი ფედერაციას თქვენი დაფინანსებული მივლინებები არ სჭირდება, იმ ფულს ჩვენვე ვიშოვით, ნაკრებების შეკრებებს ნუ გაგვიჭირვებთ, 20 დღემდე გაზარდეთო. „ტელესპორტი“ დაგვყაბულდა, დაწვრილებით უახლოეს მომავალში ვაცნობებთ, რა როგორ გვსურს.

ადრინდელი ფედერაციის მსგავსად არ მოვიქცევით. მათ კონტრაქტში ერთი უცნაურობაცაა: ერთ-ერთ პუნქტში, როცა ფულზეა ლაპარაკი, წერია, 1998 წლის საკმარისი თანხა 2006 წელსაც გვეყოფაო. თავად წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება რვა წლით ადრე ფულზე რაიმეს თქმა?

შვეიცარიელებმა ესეც გვკითხეს, თქვენ რა ციფრებს გვთავაზობთო. დავიანგარიშებთ და ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტსაც მივაწვდით. ამ ფირმასთან მოლაპარაკებაზე სხვას ვერას გეტყვით. როცა ყველაფერი გადაწყდება, მერე ვთქვათ.

**— კეთილი. ახლა იმაზე გვითხარით, ფედერაციის მუშაკები სამი თვე უხელფასოდ რომ არიან.**

— იცით, როცა ფედერაციაში მივედით, უამრავი ვალი დაგვხვდა. არა, ვალს იმ მნიშვნელობით ნუ გაიგებთ, თითქოს ფული ვინმემ ვინმეს ხელში მისცა. იყო სასტუმროების დავალიანება. მსაჯებიც ჩვენ უნდა გავისტუმროთ, ბილეთებიც დასაბეჭდია.. რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ, ახლა ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით. აი, ამ ვალებს ვისტუმრებთ, აქამდე შემოსული ფული ამაზე დაგვეხარჯა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ხელფასების პრობლემა, ჩათვალეთ, რომ აღარ არსებობს: 30 დეკემბრამდე ფედერაციის ყველა თანამშრომელი სამი თვის ხელფასს სრულად მიიღებს.

**— ფინანსურად გვიჭირსო, ამბობთ. იმის გარანტია თუ არსებობს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებას ფედერაცია წელგამართული შეხვდეს?**

— ამას მოვუვლით. არსებობს წყაროები, საიდანაც ფულს ველით. თანხის ის მინიმუმს, რაც გათამაშებას სჭირდება, ვიშოვით. ეს საგანგაშო არ არის. უფრო სერიოზული საკითხია ნაკრები გუნდების გასვლითი მატჩები. სწორედ ახლა ჩეხეთში ფაქსი გავაგზავნეთ და იქაურებს ვთხოვეთ, რომ ჩვენს 18-წლამდელებს ფული არ დაახარჯინონ, საპასუხო სტუმრობისას კი ჩეხებს ჩვენ დავაბინავებთ. ასე ფულს დავზოგავთ. ამას გარდა, ნორვეგიელებსა და სლოვენებს შევეხმიანეთ. სლოვენებმა დადებითი პასუხი შემოგვითვალეს, ნორვეგია ჯერაც ფიქრობს. გვსურს, ეროვნულმა და ახალგაზრდულმა გუნდებმა სტუმრად ერთ დღეს ითამაშონ. ესეც შეღავათი იქნება. თუმცა ალბანელები ალბათ ჩვენს წინადადებას იუარებენ, რადგან მათაც ჰქონდათ მსგავსი სურვილი და მაშინდელმა ფედერაციამ იგი არ დააკმაყოფილა.

**— რადგან სიტყვა ნაკრებზე ჩამოვარდა, ეროვნულ გუნდში შექმნილ არცთუ ჯანსაღ ვითარებაზეც გკითხავთ. როგორც გავიგეთ, მერაბ ჟორდანია ფეხბურთელების და მწვრთნელების შეკრება-მორიგებას აპირებსო.**

— შვეიცარიაში ყოფნისას ლეგიონერებსაც შევხვდით. ზოგიერთ მათგანთან ერთადაც ვიმგზავრეთ. ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ არსებული დაძაბულობა მოიხსნას. და ერთიც, ძირითადი, ფედერაციის აზრი ასეთია — ლეგიონერები იყვნენ და არიან საქართველოს ნაკრების უმთავრესი კანდიდატები.

**— საახალწლოდაც თქვით...**

— ბედნიერება, ჯანმრთელობა, ყველაფერი კარგი ქართველებს. ვისურვებდი, დამდეგ ახალ წელს უფრო სამხიარულოდ გვქონდეს საქმე და ამაში თავისი წვლილი ფეხბურთელებსაც შეეტანოთ.

**— გვაძლევთ გარანტიას, რომ 1999 წელი გულშემატკივრებისთვის უკეთესი იქნება?**

— აბა, აქ რატომ ვმუშაობთ?

**— გმადლობთ. ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ.**

— თქვენს გაზეთს „სარბიელს“ და მის მკითხველსაც ამასვე ვუსურვებ.

კობა ინასარიძე

# გურია არ დაიშლება

როგორც ლანჩხუთის ყოფილმა გამგებელმა, ამჟამად კი ფირმა „საგარეოტერმინალკომპლექსის“ გენერალურმა დირექტორმა და „მორკინალის“ კომერციულმა დირექტორმა გია გოთუამ გვაცნობა, მას და მის თანამოაზრეთ „გურიას“ პატრონობა და კრიზისიდან გამოყვანა განუზრახავთ. საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაუდგამთ, წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე კონსორციუმის 10-11 სუბიექტიდან ნახევარზე მეტს უკვე თანხმობა განუცხადებია 35-35 ათასი ლარის „გურიას“ საკეთილდღეოდ გაღებაზე. თუ კონსორციუმი შეიქმნა და „გურიას“ აღორძინების პროექტი განხორციელდა, მაშინ დაახლოებით 350 ათასი ლარი მოგროვდება, საიდანაც 200 გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე სასტუმროს აშენებისთვის დაიხარჯება, დანარჩენი კი გუნდს მოხმარდება. ეს პირველ ეტაპზე განხორციელდება, ხოლო თუ როგორ გაგრძელდება საქმე, მომავალში გვეცოდინება. კარგი იქნება, გია გოთუას სხვებმაც აუბან მხარი. გუშინ იგი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას უნდა შეხვედროდა.

# ცხვირზე ასულებს პირი მართლაც არ შეურცხვენიათ

*მთამსვლელობის მოყვარულთ გეხსომებათ „სარბიელში“ გამოქვეყნებული ერთი წერილი: „ცხვირზე ასულებს პირი არ შეურცხვენიათ“, რომელშიც საუბარი იყო ამ გაზაფხულზე ამერიკაში, ელ კაპიტანის მასივზე ქართველ მთამსვლელთა ასვლის შესახებ.*

*ჩვენმა მთამსვლელებმა ბიძინა გუჯაბიძემ, გელა ოთარაშვილმა და ბენო ქამაკაშვილმა ელ კაპიტანის 1200 მეტრიანი სიმაღლის გემის ცხვირივით კლდეზე ასვლა, რომელსაც „ნოსი“ ჰქვია, დსთ-ს პირველობაზე წარადგინეს.*

*ჟიურიმ ახალხანს შეაფასა საკონკურსო ლაშქრობები და ჩვენს მთამსვლელებს ვერცხლის მედლები არგუნა. ასე რომ, ენამ გვიყივლა და ცხვირზე ასულებს პირი მართლაც არ შეურცხვენიათ.*




გელა ოთარაშვილი, ბენო ქამაკაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე ელკაპიტანზე გავლილი მარშრუტის ფონზე

წლეულს ბოლო „სარბიელი“
შაბათს, 26 დეკემბერს გამოვა.
დამდეგი, 1999 წლის პირველ „სარბიელს“
საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე,
12 იანვარს მიიღებთ

*საქართველო რომ საფეხბურთო ქვეყანაა, ალბათ, არავისთვის უნდა იყოს საკამათო, თუმცა ასეთ იმედგაცრუებას რომ არ ვიმსახურებთ, ესეც ფაქტია.*
*ქართულ ფეხბურთს ფოთში დაედო სათავე და ქვეყნის უძველეს კლუბს — „კოლხეთი 1913"-ს მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.*
*მარადი ჩემპიონის შემდგომ „კოლხეთმა" ყველაზე მეტჯერ იგემა გამარჯვების სიხარული და „დინამოსაც" ყველაზე მეტჯერ შემოჰკრა სილა, თუმცა პირველი წრის დასასრულს „პაიჭაძეზე" ნაწვნევმა თითქმის „ბალკანურმა" მარცხმა გუნდის მთავარი მწვრთნელის, ბოლო წლების „კოლხეთის" წარმატებათა სულისჩამდგმელის, სოსო ფილიას დათხოვნა გამოიწვია.*
*მასთან ერთად გუნდიდან მოთამაშეთა გარკვეული ჯგუფიც აპირებს წასვლას, თუმცა მოვლენებს არ გავუსწრებთ და მათი გვარ-სახელების ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებთ, რადგან დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობა, თუ ვინმესი, ახალი მწვრთნელის გადასაწყვეტიცაა.*
*კოლხთა თავკაცობამ კი გუნდის ახალ თავკაცად გია (ჯუნგლი) ტყებუჩავა დანიშნა.*





ტორპედოელები ალეკო კვერნაძე, ჯუნგლი ტყებუჩავა და გია დოჩია

# მაუგლიმ მწვრთნელობა დაიწყო

საფეხბურთო კარიერის განმავლობაში იგი „კოლხეთისა" და „ტორპედოს" ღირსებას იცავდა. რაც შეეხება სამწვრთნელო საქმიანობას, იგი მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში მუშაობდა ფოთში — გუნდის უფროსად, მაგრამ კლუბის ბატონ-პატრონებმა მრავალრიცხოვან კანდიდატთაგან სწორედ იგი გამოარჩიეს და, ეტყობა, სჯერათ კიდეც მისი.

ფოთელებს კი გულში ღრმად ამოუჭრიათ ევროპულ სარბიელზე მეოთხედ გასვლა, რაც საიუბილეო ჩემპიონატში პრეტენდენტთა მომრავლების გამო იოლი არ იქნება. „დინამოსა" და „ტორპედოზე" რომ არაფერი ვთქვათ, გვერდით ჯერაც დაუმარცხებელი რკინიგზელები იმყოფებიან, ხოლო ბათუმელები მხოლოდ სამი ქულით არიან უკან.

კლუბის თავკაცთა რჩეულთან ურთიერთობა, ისევე, როგორც წინა ხელმძღვანელობასთან, საკმაოდ საინტერესო გამოდგა და იგი ინტერვიუზეც დავითანხმეთ.

**— ბატონო გია, დავიწყოთ იმით, თუ საიდან მოდის თქვენი მეტსახელი „ჯუნგლი" და ცოტა რამ თქვენს შესახებ.**

— პირველ ყოვლისა, მინდა ყველას დიდი მადლობა მოვუხადო მილოცვისთვის, მე კი ვეცდები, ნდობა გავამართლო.

რაც შეეხება სახელს. ჩემს ოჯახში მეოთხე შვილი ვარ და როცა დავიბადე, დეიდაჩემის, ქალბატონ ვარდო ჟვანიას დაჟინებული მოთხოვნით ჯუნგლი დამარქვეს. ქუთაისის „ტორპედოში" თამაშისას კი მეტსახელი ნაღდად მქონდა, ოღონდ არა „ჯუნგლი", არამედ „მაუგლი". ჩემი საფეხბურთო კარიერა ძირითადად ფოთის „კოლხეთთან" და ქუთაისის „ტორპედოსთან" არის დაკავშირებული.

1974 წელს მეათეკლასელი ბიჭი „კოლხეთში" იური გვაზავამ მიმიყვანა. 1984-ში გივი ნოდიამ „ტორპედოში" გადამიყვანა. იმ წელს 42-ივე მატჩში შეუცვლელად ვითამაშე და სსრკ უმაღლესი ლიგის საგზურიც მოვიპოვეთ. 1986 წელი — კვლავ „კოლხეთი", 1987 — ქუთაისის „ტორპედო". მეორე წრეში კი ალექსანდრე კოტრიკაძემ „გურიაში" დამიძახა, სადაც დავამთავრე კიდეც კარიერა.

**— როგორია თქვენი გეგმები?**

— „კოლხეთი" სტაბილური გუნდია და ასეთად დარჩება. ჩვენი მიზანი მხოლოდ მაღალი ადგილისთვის ბრძოლა იქნება. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო — კვლავაც ასე გაგრძელდება, ოღონდ შიდა სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება.

**— ვისზე აპირებთ აქცენტირებას?**

— „კოლხეთს" საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის დამატება ნამდვილად არ გვაწყენდა. შეგულებულიც გვყავს, მაგრამ ჯერჯერობით მოლაპარაკებები არ დასრულებულა და პასუხის გაცემისგანაც თავს შევიკავებ.

**— გიორგი დარასელიას წასვლის შემდეგ „კოლხეთი" ძლიერი გამთამაშებლის ნაკლებობას განიცდის.**

— დარასელია უნიჭიერესი ფეხბურთელია და მისი შეცვლა საკმაოდ ძნელია. თუმცა შეუცვლელები ფეხბურთში არ არსებობენ. იმედია, ამ საკითხს მოევლება. ისე კი, ძლიერი გამთამაშებელი ნახევარი გუნდია და როცა იგი არ გყავს, უმჯობესია, კოლექტიური თამაშით აღმოიფხვრას ეს ნაკლი.

**— თქვენი აზრით, „კოლხეთში" რომელ ხაზს სჭირდება გაძლიერება? ვინმეს მოწვევას თუ აპირებთ?**

— მოწვევაზე უკვე გითხარით, ესეც და სხვა დანარჩენიც მოსამზადებელ პერიოდში გამოჩნდება.

**— „კოლხეთი" ტრადიციულად უცხოეთში ემზადებოდა. თქვენი მოსვლა რაიმეს ხომ არ შეცვლის ამ საქმეში?**

— ეს საკითხიც ახლო მომავალში გადაწყდება, ისე კი, თუ უცხოეთში მომზადება უნაყოფოა, სჯობს, ნაყოფიერი შეკრება საქართველოში გავიაროთ.

**— ქართულ გუნდებს ევროპაში გასვლა აქვთ გულში ამოჭრილი, იქ კი ერთმანეთს ბურთების გაშვებაში ეჯიბრებიან. როგორ ფიქრობთ, შორია ევროპამდე?**

— ევროპამდე ნამდვილად შორია, თუ არ ჩავთვლით, „სელტიკს", „ეინდჰოვენს", ლევერკუზენის „ბაიერსა" და „ცრვენა ზვეზდას" — ვისთან წაიტეხეს ფეხი ქართულმა გუნდებმა? მაგრამ ჩვენი მეზობლების — თურქების მაგალითი ავიღოთ. ხომ ხედავთ, სადაც ფეხბურთს ყურადღება მიაქციეს, იქ შედეგებიც მოვიდა. ჩვენც თუ კონკრეტულ მიზანს დავისახავთ, მიუღწეველი არაფერია.

**— რომელ საფეხბურთო სტილს ანიჭებთ უპირატესობას და ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მწვრთნელად?**

— მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ლიგა სერია „A" გახლავთ და მეც იტალიელებს ვამჯობინებ, თუმცა დღეს სკოლებად დაყოფა უფრო პირობითია. მოწინავე საფეხბურთო კლუბებში უამრავი სხვადასხვა სტილის მოთამაშეა და მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ფეხბურთის განვითარებაში. თუმც ყველაფერს საბოლოო სახეს მაინც მწვრთნელები აძლევენ და ესეც ყველაზე უკეთ იტალიელებმა მოახერხეს. მათ შორის საუკეთესოებად არიგო საკი და ფაბიო კაპელო მიმაჩნია, ქართველ მწვრთნელთაგან კი — გივი ნოდია. უმჯობესია, მისი ნიჭი და ცოდნა ქართულ ფეხბურთს მოხმარდეს.

**— თქვენს თანაშემწეებზე რას გვეტყვით?**

— ჩემი თანაშემწე ნუგზარ თვარაძე იქნება, მეკარეებთან კვლავინდებურად მამუკა მიქავა იმუშავებს. შევეცდები, გუნდში ნუგზარ მიქაბერიძეც იყოს, რადგან მისი ცოდნა და ავტორიტეტი, „კოლხეთისთვის" დამატებითი სტიმული იქნება.

**— თქვენს წინამორბედებზე რას იტყვით?**

— გუნდთან მათი ურთიერთობა მაშინ მორჩება, როცა კლუბის ხელმძღვანელობა გაისტუმრებს.

**— კონტრაქტი რა ვადით გაქვთ გაფორმებული?**

— სეზონის ბოლომდე, მაგრამ ვიმედოვნებ, „კოლხეთთან" ჩემი ურთიერთობა ამის შემდეგაც გაგრძელდება.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე რას ფიქრობთ?**

— გუნდმა ორი მეტად მნიშვნელოვანი თამაში ჩააგდო რიგასა და ათენში, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ ჯერაც ყველაფერი წინაა. მთავარია, ნაკრების ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა სწორი დასკვნები გააკეთონ და შედეგებიც არ დააყოვნებს.

**ბიძინა დარჩია ფოთიდან**

# დინამოს ნურვის დავაჩაგვრინებთ!

— წილისყრის შედეგები კი ვიცით, მაგრამ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ესენგეს თასზე სათამაშოდ წავალათ თუ არა — გვითხრა გუშინ თბილისის „დინამოს" თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ.

თუ ბატონი მურთაზის ეჭვი გამართლდა და ჩვენი ჩემპიონი მოსკოვს არ ეწვია, თანამეგობრობის თასზე ალბათ ახალგაზრდული შემადგენლობა, „დინამო 2" ითამაშებს, ოღონდ, ცხადია, „დინამოს" სახელით.

რას ნიშნავს საქართველოს ჩემპიონისთვის თანამეგობრობის თასზე თამაში და რას წარმოადგენს თავად ეს გათამაშება? ასეთი კითხვა, ვფიქრობ, არც ზედმეტია და არც უადგილო.

ჯერ კიდევ საბჭოურ წლებში ბევრისგან მოისმენდით ჩივილს, „მანეჟში" თამაში საშინელებააო. ზოგი ჩვენი „დინამოს" ჭერქვეშ დამჩაგვრელ „სპარტაკს" „პარკეტის ჩემპიონს", ხალიჩაზე თამაშს კი ლოჯიის ფეხბურთსაც კი ეძახდა.

ხანი გამოხდა და საბჭოეთის დანგრევის შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს, თითქოს წარსული გადაავიწყდათო, ესენგეს თასზე სათამაშოდ ძალუმად გაუწიათ გულმა. რა იყო ეს, ნოსტალგია თუ უბრალოდ ბუნებრივი მოთხოვნილება, სეზონთშორისში გუნდს სათამაშო პრაქტიკა არ მოჰკლებოდა? პასუხი ამ კითხვაზე გადაჭრით ძნელი გასაცემია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ესენგეს თასი დღემდე ნამდვილად არ ყოფილა ისეთი გათამაშება, მასში მონაწილეობას რაგინდა რა თავმოყვარე გუნდი რომ დაჰხარბებოდა.

საშობაო არდადეგების ჩათავებას ლამის მთელი გერმანია მინი-ფეხბურთის ტურნირებით ხვდება. გერმანული კლუბები სწორედ რომ დარბაზში და პარკეტზე თამაშით იწყებენ ფორმის აღდგენას, ბურთთან ხელახლა შეგუებას.

ცხადია, ჩვენს „დინამოსაც" ესენგეს თასზე თამაშს გერმანულ-ავსტრიულ ტურნირებში მონაწილეობა უჯობდა, მაგრამ აქამდე ასე ერთადერთხელ მოიქცა და მაშინაც შტუტგარტში მოსკოვმოვლილი წავიდა.

სხვაა რუსეთი და სხვა გერმანია, მაგრამ ისინიც დარბაზში თამაშს რატომ ამჯობინებენ მინდორზე შესვლას? იგივე მიზეზით, რის გამოც თანამეგობრობის თასი ტარდება ხალიჩაზე: გერმანიის დიდი ნაწილიც იმავე სარტყელშია, რომელშიც მოსკოვი და ზამთარი, მართალია უფრო რბილი, სამაგიეროდ, ხშირად უხვთოვლიანია.

და მაინც, მოსკოვში წასვლაზე უარის თქმა შარშან, შარშანწინ, წინა წლებში უფრო იქნებოდა ჭკუასთან ახლოს, ვიდრე ახლა და აი, რატომ:

ამ ჯერზე ესენგეს თასი ახალი ფორმატით გაიმართება. მისი ორგანიზატორები ხუთწლიანი დაკვირვების შედეგად ასეთ დასკვნამდე მივიდნენ. ეტყობა, შარშანდელ ტურნირზე დარხეული ხმები, ეს ბოლო გათამაშებაა, გაისად კი ტურნირმა, შესაძლოა, თურქმენულ აშხაბადში გადაინაცვლოსო, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

არა, რუსეთის გულმა ყოფილ საბჭოელთა თასის გათამაშება არ დათმო, მაგრამ მისი სისტემა კი შეცვალა.

გაისად, 23-დან 31 იანვრამდე ითამაშებს 16 გუნდი. ძველებურადვე, 15 ჩემპიონი და ერთიც (უკონკურსოდ) რუსეთის 21 წლამდე ნაკრები. ოღონდ ეს 16 ორი ჯგუფის ორ-ორ ქვეჯგუფში განაწილდება. უკეთ რომ ვთქვათ, ასპარეზობა ორ დონედ გაიმართება.

უმაღლესი დივიზიონის „ა" ჯგუფში თავი მოსკოვის „სპარტაკს", ლიტვურ „ჟალგირისს", ჩვენს „დინამოს" და ბელარუსული მოგილიოვის „დნეპრ ტრანსმაშს" მოუყარეს. „ბ" ჯგუფში კიევის „დინამო", თურქმენეთის „კოპეტდაღი", ლატვიური „სკონტო" და აზერბაიჯანული განჯის „ქაფაზი" გამოვლენ. პირველი დივიზიონის ორ ჯგუფში სხვა ქვეყნების ჩემპიონები ითამაშებენ, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო გუნდის ქვეყანა გარდამავალი თავის ჩემპიონს უმაღლეს დივიზიონში წარადგენს. თავის მხრივ, ზემოურთაგან უარესი ოთხი ქვემო ჯგუფებში ჩაინაცვლებს. ეს კი თამაშებს აღრინდელზე მეტ დაძაბულობას შესძენს.

უმაღლესი დივიზიონის ქვეჯგუფთა ლიდერები ხელახლა ითამაშებენ მეორე, ერთწრიან ჯგუფურ რაუნდში, გამარჯვებულნი კი ფინალში გაარკვევენ თასის მფლობელს.

ახლა ესეც ვთქვათ, უნდა იუკადრისოს თუ არა ჩვენმა ჩემპიონმა ლატვიელებთან, თუნდაც აზერბაიჯანელებთან ძირითადი შემადგენლობით გაჯიბრების მორიგი შანსი, რომ არა ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კიეველებსა და იქიდან ახლახან გამოვარდნილ „სპარტაკზე". მგონი არა, თუნდაც იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ფეხბურთის რიგაში შერცხვენა შემთხვევითობა იყო, სწორედ „ქაფაზის" განჯაში მარცხი კი ზრდასრულ აზერბაიჯანელთაგან ქართველი ახალგაზრების დაჩაგვრა.

ახლა მაინც ნუ დავაჩაგვრინებთ „დინამოს" მათ, ვინც ჩვენზე ძლიერი არაფრითაა. მით უმეტეს, ის, თუ რას იზამს ამჯერად „დინამო 2" თუ თავად ჩვენი ცხრაგზის ჩემპიონი, ქართული ფეხბურთის საგაისო ლიდერს დაეტყობა. ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ეთამაშება 21-ე საუკუნის დამდეგს ტაჯიკეთის ჩემპიონს. ისევ „დინამო" იქნება ეს თუ სხვა, ცხადია, არც ერთს წაადგება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ისევ შეხვდება დინამოელი გივი დიდავა სკონტოელ მარიან პახარსს?

# ოთხი ნამეტანია

20 წლის სამტრედიელი მეკარე ზვიად სტურუა, ბოლო ხანს „სამგურალში" რომ თამაშობდა, დღეიდან „ტორპედოში" ივარჯიშებს და ახალ გუნდში დამკვიდრებას შეეცდება.

ქუთაისურ კლუბში სტურუას მისვლამდე სამი მეკარე ირიცხებოდა — გრიგოლ ჭანტურია და ორი დავითი, ასლანაძე და მამარდაშვილი. ჭანტურიამ და ასლანაძემ უკვე გააფორმეს „ტორპედოსთან" ახალი კონტრაქტი, მამარდაშვილს კი, ეტყობა, თადარიგში ჯდომა მოსწყინდა და გათავისუფლებას ითხოვს. სტურუას „ტორპედოში" მოსვლას ამას თუ დავუკავშირებთ, თორემ ოთხი მეკარე ნამეტანია.

**იუზა ძაძიტაძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
სამძიმარს უცხადებს კახა ცხადაძეს ძმის
**გოჩა ცხადაძის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
მწუხარებით იუწყება თანამშრომლის,
**ჯუმბერ ჩუხუას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

# სადღეგრძელო იყოს მისი...

*...და მაშინ, როცა საათის ისრები თორმეტს გაუსწორდება, ოჯახის უფროსი წამოდგება, ჭიქას ანევს და იტყვის, ახალი წლისა იყოს, ღმერთმა ჯანი, ბედნიერება, სიხარული მოგვცეს, 1999 წელი ყოფილიყოს ყოველივე კარგის საწყისი ჩვენს ცხოვრებაშიო. და ყველა შესვამს. იმედი ხომ უკვდავია. ამასობაში მეორე სადღეგრძელოს ჯერი დადგება. გასული წლისა ვთქვათ, ავად-კარგად ცოცხლები ვართ, ყველაფერთან ერთად 98-ში კარგიც გვინახავსო — თამადა ძველ წელიწადს გააცილებს, ქართული ადათისამებრ საქმეს შეუდგება. სუფრა გამხიარულდება, ნელ-ნელა ბახუსიც მოახლოვდება, უფროსი ერთსაც იტყვის, ხვალინდელი დღისას, კარგს ისურვებს, მაგრამ... ვეღარ გააგრძელებს — ეეჰ, ამოიოხრებს და შესვამს. გულს დარდი შემოაწვება, თუმცა იმედის ნაპერწკალი ღვივის, ეს იმედია სწორედ მომავალი. ის, რამაც აწმყო უნდა გააგრძელოს, წარსული ისტორიას ჩააბაროს. ვინც ასე არ ფიქრობს, ვისაც მომავლის არ სჯერა, ცოდოა.*

თანამეინახეს უწინდელი ამბავი გაახსენდება. გახსოვთ? — იკითხავს და ძველ, გარდასულ ამბებს მოჰყვება. თამადას მუზა ესტუმრება. ახალი წლის ღამეს ძველ ცუდზეც იტყვის. ტკივილი უკვე გაქარვებულია. იტყვიან სადღეგრძელოს, მაგრამ აღარ დააკონკრეტებენ, ფაქტსღა დასჯერდებიან, თუ დაწვრილებით თქმას მოინდომებენ, მოყვასს ახსენებენ მხოლოდ...

მოსაგონარი არც ჩვენ დაგველევა. წლის დამლევს, როცა ვეფხვი კურდღელმა უნდა შეცვალოს, „სარბიელი" იხსენებს, იხსენებს იმას, რაც დაუწერია, რამაც გაგვახარა და დაგვამწუხრა, რამაც ხელიც ჩაგვაქნევინა და იმედიც ჩაგვისახა, იმ დღეებს, როცა ქართველი ფეხბურთელები უცხოტომელებთან ქიშპობდნენ.

მაშ ასე, 1998 წლის 7 თებერვალს, როცა საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ახალი მწვრთნელის თავკაცობით პირველად ითამაშა, „სარბიელი" წერდა:

### საქართველო 2:1 ლატვია

„ჩვენები შავი სამკლაურებით გამოვიდნენ, ორიოდ წუთის შემდეგ მოედნის ცენტრში გამწკრივდნენ და გამოცხადებულზე ყველამ თავი დახარა. წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ნოდარ ახალკაცის ხსოვნასო. იქვე სამახსოვრო სურათებიც და დაიწყო... გუცაევმა ქვისლი დაამარცხა სადებიუტო მატჩში. ჩვენებმა ამჯერად იმარჯვეს, თუმცა დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ეს იყო, თამაშის ხარისხისა კი რა მოგახსენოთ, ძალიან ცუდად მოქმედებდა დაცვა".

9 თებერვალი

### საქართველო 3:0 ალბანეთი

„საქართველოს ნაკრები მთელ მოედანზე ბატონობდა, ყველაფერს აკონტროლებდა. ქართველებმა ყველა კომპონენტში პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე".

12 თებერვალი

### მალტა 1:3 საქართველო

„ესეც ასე. ქართველთა ნაკრებმა პირველ წარმატებას მიაღწია.

საპირველადგილოდ ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ ქართველებმა დიდი შემართებითა და მონდომებით ითამაშეს. მეტოქეს გამარჯვებაზე ფიქრის შანსიც არ დაუტოვეს. მატჩის შემდეგ ჩვენებს უხვად ერგოთ ქათინაურები, მილოცვები, დალოცვები..."

4 მაისი

### ტუნისი 1:1 საქართველო

„შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ ამხანაგურ შეხვედრაში ურიგო არც ფრე იქნება, თუ ამით მეტს ვისწავლით".

1 ივნისი

### საქართველო 1:1 რუსეთი

„ვერცერთ ქართველს დასწამებდით, ბრძოლას თავს არიდებს, ბურთს ემალებაო. არა, მაგრამ მოსაგებად ჩვენებურთა მონდომება საკმარისი არ გამოდგა, რადგან გამარჯვების წყურვილი მაინც აკლდათ".

12 აგვისტო

### აზერბაიჯანი 1:0 საქართველო

„ვის რაში დასჭირდა მორიგი აზერბაიჯანული ვოიაჟი და აუხსნელი სირცხვილის ჭამა, ძნელი სათქმელია. საკითხავი ის არის, როდის ვისწავლით ჭკუას?"

20 აგვისტო

### უკრაინა 4:0 საქართველო

„კიევის ზეცამ ჯერ მზრუნველი დიასახლისივით მსუბუქად დაგვნამა, მაგრამ ცოტა ხანში ზედმეტი მოუვიდა და უკრაინულმა ეშმაკის მანქანამაც, წინ და უკან მონდომებით რომ დაქშიტინებდა, პირწმინდად დაგვაუთოვა".

8 სექტემბერი

### საქართველო 1:0 ალბანეთი

„პირველად ვნახეთ, ეროვნულმა ნაკრებმა სტანდარტული მდგომარეობა მაღალოსტატურად რომ გაითამაშა... ჯერჯერობით კი ემოციებს ნუ ავყვებით. გამარჯვებულის ეიფორია ნუ მოგვიცავს, რეალურად შევხედოთ ჩვენს ნაკლოვანებებს, რადგან წინ ურთულესი აღმართი გველის".

13 ოქტომბერი

### ლატვია 1:0 საქართველო

„კრიჭა ყველას შეკრული ჰქონდა. ხმის ამომღები არავინ იყო, სათქმელიც ბევრი არაფერი გახლდათ, ტაბლო ყველაფერზე მეტყველებდა... ჩვენი უბედურება კი ისაა, რომ ლატვიასთან წავაგეთ, გუნდთან, რომელსაც ძოძუაშვილი რაგბის ბურთით ასწავლიდა."

15 ოქტომბერი

### საბერძნეთი 3:0 საქართველო

„ჩვენები გათახსირდნენ, მოკლედ და კონკრეტულად... მორჩა, ოცნებები, მგონი, საბოლოოდ დაიმსხვრა... წასაქცევი მალე უნდა წაიქცეს, ან ერთი, ან რამდენიმე".

19 ნოემბერი

### საქართველო 3:1 ესტონეთი

„ჩვენები იმად იყვნენ კარგები, რომ იბრძოდნენ, თავს დებდნენ. ამ ბიჭებმა, ბევრს რომ პირველად ეცვა ნაკრების მაისური, ჯიგარი დაანახეს ხალხს".

მერე უფრო დაწვრილმანდებიან სუფრის წევრები, მათ თამადაც აჰყვება, თითოეულ შემთხვევას გაარჩევენ, ერთურთს მაშინდელ ქცევას მოუწონებ-დაუწუნებენ, მიზეზებსაც ჩაეძიებიან, იმ მიზეზებს, რამაც შედეგამდე მიიყვანათ.

28 ივნისი

### ერებუნი 1:1 (0:6) ტორპედო

„გუშინდელი მატჩი სავალდებული იყო, თორემ, ბელგიური „ლომელის" მეტოქეობა ქუთაისში 6:0 მოგებით „ტორპედომ" ერთი კვირის წინათვე დაიბევა.

6 ივლისი

### ლომელი 0:1 ტორპედო

„ასე დასრულდა ქუთაისელთა ბენილუქსში ყოფნა. დასრულდა სასახელოდ. „ტორპედომ" ერთხელაც გაგვახარა. მაგრამ თავს ნუ დავიმშვიდებთ, წინ საპასუხო მატჩია და ბელგიელთა ამბავი ხომ იცით, ეშმაკუნებს ტყუილად როდი ეძახიან".

12 ივლისი

### ტორპედო 1:2 ლომელი

„არ უნდა წაგვეგო, მაგრამ წავაგეთ. ერთი მიზეზი უსათუოდ „ტორპედოს" გამოუცდელობაა, დანარჩენებზე პასუხი გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა აგოს... ასე როგორ უნდა გაგწიროს ბედმა?"

23 ივლისი

### კოლხეთი 0:4 (0:7) ცრვენა ზვეზდა

„კოლხეთი" გუშინ განწირული იყო დასამარცხებლად და წააგო კიდეც. კიდევ კარგი, უფრო სამარცხვინოდ რომ არა... მოკლედ, მორჩა, „ტორპედო" ინტერტოტოდან გამოვარდა, „კოლხეთი უეფადან... ესღაა ჩვენი ფეხბურთი..."

30 ივლისი

### ვლაჟნია 3:1 (0:3) დინამო?

„ანგარიში ყველაფერს არ გამოხატავს: თუმცა, მაინც, „ვლაჟნიასთან" ასე წაგება მეტყველებს, რომ „დინამოს" და საერთოდ ქართულ საკლუბო ფეხბურთს აშკარად ცუდი დროება უდგას."

27 აგვისტო

### ატლეტიკი 1:0 (1:2) დინამო

„მართალია, ყველა ის, ვინც ფიქრობს: ჩემპიონთა ლიგა ღარიბი გუნდების გასამდიდრებლად კი არა, მდიდრების კიდევ უფრო გასამდიდრებლად შექმნესო... ბოლოს ერთიც — „დინამო" ასეთი თავდადებით თუ გააგრძელებს, ნაღდად მიაღწევს საწადელს გაისად".

14 აგვისტო

### პარტიზანი 2:0 ბათუმი

„ბათუმელთა უსუსური თამაში სხვებისთვის იქნებ გასაკვირი იყო, ჩვენთვის კი მართლაც ძნელად საცქერი და გულსაკლავი აღმოჩნდა... ბათუმელებმა პირწმინდად წააგეს და ღმერთს მადლი, ორ ბურთზე მეტი რომ ვერ გაგვიტანეს პარტიზანებმა".

28 აგვისტო

### ბათუმი 1:0 პარტიზანი

„ბათუმმა" იუგოსლავიელებზე შური კი იძია, დამსახურებულადაც მოიგო, მაგრამ საბოლოო ჯამში დამარცხებული დარჩა და თასების თასისკენ გზას „პარტიზანი" გააგრძელებს".

16 სექტემბრი

### ტილბურგი 3:0 დინამო

„თამაშის დასაწყისმა ცხადყო, რომ „დინამო" ცდილობდა არ წაეგო... მსაჯის სასტვენმა დინამოელებს საშინელი სირცხვილი მოუტანა".

30 სექტემბერი

### დინამო 0:3 ტილბურგი

„ვაი, სირცხვილო! ეს არის ქართული ფეხბურთი?! ძველი არ გვქონდა დავიწყებული, რომ „ტილბურგმა" გაგვათახსირა".

კარგით, კარგით, მორჩით, რაც იყო, იყო. აგერ ამასწინდელ ამბებზე თქვითო — იტყვის თამადა. თანამოსუფრეებს გააჩუმებს და უახლოესს გაიხსენებს. იმას, რამაც უწინდელი ტკივილ-სიხარული დაავიწყათ, რამდენიმე დღის წინ გადახდათ თავს.

22 ოქტომბერი

### ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან

„ჩემი შეცდომა ის გახლდათ, რომ გამოცდილებს ვენდე. მათი მჯეროდა, ერთ ფეხბურთელში კი ყველა შემცდარა, შეცდება კიდეც. ვფიქრობდი, ლატვიასა და საბერძნეთში საუკეთესონი წავიყვანე-მეთქი, ყველაზე კარგები გამოვიძახე. ამას წინათ ერთი მწვრთნელი შემხვდა, მეუბნება, შენი უბედურება ისაა, რომ გუნდში ძალიან ბევრი ვარსკვლავი გყავს, სახელის გამო ათამაშებ მათო. სამწუხაროდ ის კაცი მართალი იყო. ამაში შევცდი".

12 დეკემბერი

„ახალი არაფერი ჩემთვის იქნება ვთქვა, საქართველოს ეროვნულ გუნდში „რაღაც" ხდება. რა? ამის პასუხსაც ახლო მომავალში შევიტყობთ. საქმე ისაა, რომ ქართველი ლეგიონერების უმეტესობა დეკემბრის ბოლოს პრესკონფერენციის მოწყობას აპირებს. ნაკრების წევრებს სურთ, სათქმელი ხმამაღლა თქვან".

საახალწლო სუფრას წუხილი არ უხდება. თამადაც გაყუჩდება. წამით სუნთქვას შეკრავს და მერიქიფეც შეავსებს. უფროსი, ამჯერად, ოდნავ წამხდარი გუნების გამოკეთებას ცდილობს, მორიგი სადღეგრძელოს დრო დამდგარა.

24 ოქტომბერი

„გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობაზე მერაბ ჟორდანია ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს... არც მეფე მომკვდარა, არც ვეზირი. აი, ქართულ ფეხბურთში კი დიდი ძვრა მოხდა... ახალი კაცი მოვიდა სფფ-ის სათავეში. კაცი, რომელიც ულაპარაკოდ შეცვლის ყველაფერს, კადრებიდან დაწყებული. ხოლო ის, როგორ წაადგება ქართულ ფეხბურთს მისი მოღვაწეობა, ამას დრო გვიჩვენებს... მაშ ასე, ბატონო პრეზიდენტო, საქმე თქვენი, სიტყვა ჩვენი. ღმერთმა ქნას, თქვენი საქმე და ჩვენი სიტყვა ერთი იყოს... ღმერთი როგორც გადაწყვეტსო, უთქვამს უწმინდესს მერაბ ჟორდანიასთვის... ორშაბათიდან ქართულ ფეხბურთში ახალი დროება იწყება".

...ღვინომ თავისი გაიტანა. ოჯახის წევრები გამხიარულებულან, მაგრამ კვლავაც იხსენებენ ძველს, ავსაც-კარგსაც, ჩამოთვლიან ბევრს, გამორჩევას კი ერიდებიან. რატომ? იმიტომ, რომ გამოსარჩევიც ვინ და რაა?! გასახარიც კია, თუმცა უსიამოვნო რომ უფრო მეტია. 1998-ში გულსაკლავი მართლაც მრავალი ახსოვთ.

სადღეგრძელო იყოს მისი... თამადა ვეღარ აგრძელებს, ოხრავს და მაინც ამბობს, ყველა კაცური კაცისა იყოს, ვინც გაგვახარა, ვისიც გვჯერა, გვწამს და გვეიმედება, ვინც შავის თეთრისგან გარჩევა იცის.

უკვე საკმაოდ გვიანია, ბახუსმორეულებს ძილიც მოერიათ, ღვინი ისევ სურთ, მაგრამ... თამადა კი რის თამადაა, ბოლოს ქართული არა თქვას და ღვინი ისე დაამთავროს. ახალ წელს გაუმარჯოს! გამარჯვების გზებით გვევლოს, გამარჯვების სიხარულით გული უნდა ვიჯეროთ. მუდამ გამარჯვებულნი ვიყოთ. მტერს არ ეხაროს ჩვენზედა. 1998-საც მივაგოთ პატივი, რაც იყო, ეგ იყო. უკვე წარსულია. დროებით სუფრის დამთავრებას და შემდეგ გაგრძელებას გაუმარჯოსო, დასჭექს, ღვინოს ჩაროზს მიაყოლებს და ღრმად ამოისუნთქავს. წამით იმაზეც დაფიქრდება, რომ 21-ე საუკუნის პირველ დღეს სუფრა უფრო ხვავრიელი, ხორაგით სავსე იყოს და იყოს განწყობა იმისა, მხოლოდ კარგზე ილაპარაკოს ყველა ქართველმა.

ბოლოს კი სინანული — კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი...



სარბიელის არქივიდან

1998 წლის პირველი სიხარული: გელა შეყილაძე, თემურ ქეცბაია და გიორგი ჩიხრაძე თასით ხელში



ახალი მწვრთნელის და ახალი კაპიტნის პირველი ჯილდო

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე.

საქართველოს ჩემპიონატი

# რომელია მანდ ძუკუ?

ეეჰ, ძუკუ ძუკუ სხვა კაცია გიორგი დარასელია. ლამაზი ფეხბურთის ერთგული და ყველა იმ გუნდის ლიდერი, სადაც კი უთამაშია. ამიტომაცაა, ძუკუს სახელს ახსენებ და ქუთაისში, ფოთში, სამტრედიაში ერთნაირი ღიმილი ეფინებათ სახეზე ქომაგებს — ძუკუ? ძუკუ კარგი კაცი იყო.

იყო იმიტომ, რომ ახლა ისრაელშია დარასელია, „ხაფოირიმში" თამაშობს და საქართველოში დაგვიძვირდა მისი ფეხბურთი.

სამტრედიის „იბერიაზე" წერილის წერა ძუკუთი იმად დავიწყე, რომ ისრაელში გამგზავრებამდე დარასელიამ რვა ტური „იბერიაში" ჩაატარა (იგი ამავე დროს სამტრედიული გუნდის საპატიო პრეზიდენტი გახლავთ) და კარგადაც ჩაატარა. არა ძველებურად, ისე, როგორც ჩვეოდა, მაგრამ მაინც კარგად.

ძუკუ ის კაცია, ვისაც მარტო შეუძლია-ხოლმე მატჩის მოგება. ეს ადრე განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა, წლეულს იშვიათად, მაგრამ ამასაც აქვს თავისი ახსნა: რვა თამაში არცთუ ისე ბევრია და რვა თამაშის მიხედვით დიდს ვერაფერს დაასკვნი კაცი.

ასე იყო თუ ისე, რვა მატჩი ითამაშა თუ ორმოცდარვა, გიორგი დარასელიამ ორი გოლი გაიტანა, ათამდე საგოლე პასი გასცა, ერთი ყვითელი ბარათიც დაიმსახურა და ვალმოხდილი გაუყვა ისრაელის გზას.

სანამ ძუკუ იმერეთში თამაშობდა, „იბერიას" ვაგლახად ვერვინ დაუბაკუნებდა ფეხს, მას ხომ ყოველ წუთში შეეძლო შეხვედრის ჩარხის შემობრუნება, მაგრამ წავიდა ძუკუ და „იბერიას" საევროპო ამბიციებმაც ამის მერე დალია ჩაილურის წყალი. ეს იმიტომ, რომ ძუკუობა ველარავინ გასწია, მოედნის ცენტრში ჩომახიძეს მასსავით ვერავინ შეეშველა და უფვას ერთ-ერთ საგზურზე მეოცნებე გუნდმა წრე მეშვიდე ადგილზე ჩაამთავრა.

ეს ძუკუზე, ახლა კი მთლიანად „იბერიის" შესახებაც ვთქვათ. სამტრედიელები წლეულს დაუბრუნდნენ პირველ ჯგუფს და მიუხედავად მათი რიხიანი განცხადებებისა, ცოტას თუ სჯეროდა, რომ ფერფლიდან აღმდგარი იმერლები სერიოზულ კონკურენციას გაუწევდნენ ევროსარბიელზე მეოცნებე გუნდებს. მათ კი შეიძლება ითქვას, ნირი არ შეიხარეს და მთელი წრე ისე გალიეს, სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე დაბლა არ დაშვებულან (ის კი არა, ერთხანს მესამე ადგილსაც გაუშინაურდა „იბერია").

სამტრედიელთა დაცვას რომ უკეთ ემოქმედა, მათი თავდასხმის თამაშის გათვალისწინებით საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ „იბერია" ხუთეულში მოხვედრაზეც თამამად განაცხადებდა პრეტენზიას. მაგრამ თხუთმეტ თამაშში გაშვებული ოცდათერთმეტი ბურთი თავისთავად მეტყველებს იბერიელთა დაცვის არასახარბიელო გარჯაზე. ამაზე გავლენა ერთმა რამემაც იქონია — დაცვაში მოთამაშე ფეხბურთელების ნომინალური ამპლუებიდან გამომდინარე, „იბერია" უმეტესად 3-5-2 სისტემით თამაშობდა და მოშიშვლებულმა უკანა ხაზმაც ხომ შეხვედრებში თავისი სიტყვა თქვა. განსაკუთრებით კი „დინამოსთან", „ვიტ ჯორჯიასთან" და „ტორპედოსთან" თამაშებში დაალალატეს მცველებმა თანაგუნდელები და აკი თხუთმეტი ბურთიც გაუშვეს სამ მატჩში.

ოცდათერთმეტ გაშვებულ ბურთში თავისი წვლილი მეკარეებმაც „შეიტანეს". „იბერიას" კარში მონაცვლეობით სამი გოლკიპერი იდგა და გუნდში გუბაზ დოლიძის მოსვლის შემდეგლა გახდა იგი შედარებით საიმედო. მეკარეების სინდისზე განსაკუთრებით „ლოკომოტივთან" და „დილასთან" მატჩებია.

ნახევარდაცვაზე და ძუკუზე დასაწყისში ვილაპარაკეთ და ახლა თავდასხმაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. აქ ძირითადად სამი ნომინალური თავდამსხმელი — ბიძინა ივეჩიანი, ვასილ გიგიაძე და დავით ხუჭუა გაისარჯნენ და ოცდაექვსიდან ცამეტი ბურთიც მათ გაიტანეს. ვერაფერს იტყვი, ერთი შეხედვით საშუალო შედეგია, თუმცა „იბერიის" თავდასხმას რომ ყველა შექმნილი საგოლე მომენტი გოლამდე მიეყვანა, სამტრედიელები ოცდაშვიდს არა და, ორმოცდაათამდე ბურთს ნაღდად გაიტანდნენ.

როცა „იბერიაზე" ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გუნდის ფინანსური კეთილდღეობაც. არა, გამდიდრებით არავინ გამდიდრებულა სამტრედიაში, მაგრამ ის მინიმუმი, რაც ფეხბურთელს სჭირდება, უცილოდ აქვთ. გუნდში არ ჩავარდნილა კვება-აღდგენის პროცესებიც. ერთი სიტყვით, იბერიელებს ნორმალური პირობები ჰქონდათ.

წრის ბოლო რომ ჩაუფლავდა „იბერიას", ამაში გარკვეულწილად ფეხბურთელებსაც მიუძღვით ბრალი. მოხდა ისე, რომ გუნდში ერთი თვის პრემია-ხელფასები დაგვიანებით გაიცა. ჰოდა, მოთამაშეთა ჯგუფმა გუნდის პრეზიდენტს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოიკოტი გამოუცხადა და სავარჯიშო პროცესსაც ჩაშლა დაემუქრა. ეს ის პერიოდია, როცა „იბერიამ" ზედიზედ ექვს მატჩში ვერ იმარჯვა (აქედან ყველაზე საგანგაშო აუტსაიდერ „სიონთან" საშინაო მარცხი გახლდათ) და ამ წარუმატებელ სერიას გუნდის მთავარი მწვრთნელიც თან გადაჰყვა.

ბადრი ქორიძე, შეიძლება ითქვას, განაწყენებული წავიდა გუნდიდან. თვითონ მომიხდა „სიონთან" შეხვედრის შემდეგ მასთან საუბარი. ქორიძე ერთთავად იმას იმეორებდა, რომ ცუდი პირობებისა და ფინანსური პრობლემების გამო გუნდიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მწვრთნელის მაშინდელი განცხადებები მის აფექტურ მდგომარეობას დავაბრალე, თუმცა ქორიძემ აღარ გადათქვა და წავიდა...

ამ საკითხზე საუბარი მეტად აღარ გაგრძელებულა (არც გუნდში, არც პრესაში) და გუნდის პრეზიდენტმაც ესღა თქვა — მწვრთნელს ყველა მოთხოვნა შევუსრულეთ, მან კი სასურველი შედეგი ვერ „გაგვიკეთა" და ამიტომ წავიდაო.

ქორიძის წასვლის შემდეგ იბერიელებმა ორი მატჩი ითამაშეს და ორი ფრე გააზერხეს, თუმცა ორივეგან თსუ-სთანაც და „კოლხეთთანაც" იგებდნენ (1:0 და 2:0). ეს სწორედ ჩაშლილი სავარჯიშო პროცესებისა და ფიზიკური მომზადების სისუსტის შედეგი იყო (წრის ბოლოს თითქმის აღარც უვარჯიშიათ სამტრედიელებს).

ახლა ორიოდე სიტყვით „იბერიის" მიზნებზეც ვთქვათ. ინტერტოტოზე გასვლა იმერელთათვის პროგრამა-მაქსიმუმი იქნება. თუმცა ძალიან კი გაუჭირდებათ, მით უმეტეს, პირველი წრის შემდეგ წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი აპირებს გუნდის დატოვებას. რამდენიმე მათგანმა უკვე მოიარა ისრაელი, ზოგიერთს ბელგიური ვარიანტიც გაუჩნდა და თქმა არ უნდა, საქართველოში დარჩენას იქ წასვლას არჩევენ. თუკი საევროპო მიზნები არცთუ რეალურია, სამაგიეროდ, „იბერიას" არც ჯგუფიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება. იგი ყველა მონაცემით და ვარაუდით შეინარჩუნებს ადგილს ათეულში. მეორე წრეში მეტად და მეტად გაუჭირდება „იბერიას" ნახევარდაცვას.

ძუკუს არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს ჩომახიძის წასვლაც ზედ დაერთო და მათი შემცვლელი არც არავინ გვეგულება, მით უფრო, „იბერია" არავის დამატებას აპირებს. თუკი ძირითადი და ფარმ-კლუბის ფეხბურთელებს დავთვლით, დაახლოებით ოცდაათამდე მოთამაშეს მივიღებთ. ეს კი საქართველოს პირობებში არცთუ ცოტაა.

სამტრედიელთა საწუხარი ისღაა, რომ ოცდაათიდან ვერც ერთი მათგანი ვერ გასწევს ძუკუს მაგივრობას. ასე რომ, მეორე წრეში სამტრედიელი ქომაგი ერთს იკითხავს — ოცდაათი კაცი კი გვყავს, მაგრამ რომელია მანდ ძუკუ?

**კონსტანტინე გოგიშვილი**



[illegible] ფოტო

სანამ ძუკუ თამაშობდა, „იბერიამ" „ბათუმსაც" უგებდა




## იბერიის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოდიში | 1:0 | სტუმრად |
| 2 | ბათუმი | 3:1 | შინ |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 1:4 | სტუმრად |
| 4 | არსენალი | 5:2 | სტუმრად |
| 5 | ლოკომოტივი | 2:3 | შინ |
| 6 | ტორპედო | 0:4 | სტუმრად |
| 7 | გურია | 4:1 | შინ |
| 8 | დილა | 1:2 | სტუმრად |
| 9 | სამგურალი | 3:1 | შინ |
| 10 | დინამო | 2:7 | სტუმრად |
| 11 | მერანი | 0:0 | შინ |
| 12 | გორდა | 0:1 | სტუმრად |
| 13 | სიონი | 1:2 | შინ |
| 14 | თსუ | 1:1 | სტუმრად |
| 15 | კოლხეთი | 2:2 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ვალერი გეგეშიძე | 15 | 0 | 2 | 0 |
| ვასილ გიგიაძე | 15 | 6 | 1 | 0 |
| იოსებ გიგიაძე | 15 | 0 | 0 | 0 |
| ბიძინა ივეჩიანი | 14 | 4 | 0 | 0 |
| შოთა ჩომახიძე | 14 | 6 | 0 | 0 |
| დავით ხუჭუა | 13 | 3 | 3 | 0 |
| გოჩა ბრეგვაძე | 11 | 0 | 2 | 0 |
| გოგა ნიკოლეიშვილი | 10 | 0 | 2 | 0 |
| ბესიკ ამაშუკელი | 9 | 1 | 0 | 0 |
| გელა ლურსმანაშვილი | 9 | 0 | 1 | 0 |
| ზაზა ქობულაშვილი | 9 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დარასელია | 8 | 2 | 1 | 0 |
| გუბაზ დოლიძე | 8 | -11 | 0 | 0 |
| შალვა მუმლაძე | 7 | 0 | 1 | 0 |
| გია ქელიძე | 7 | 1 | 0 | 0 |
| ზაზა მიქელთაძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| კობა სადილიანი | 6 | 1 | 1 | 0 |
| დავით ვარდიაშვილი | 5 | 2 | 0 | 0 |
| ავთანდილ ლაბაძე | 5 | -9 | 0 | 0 |
| ზაზა ჩაჩუა | 5 | -11 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | 4 | 0 | 0 | 0 |
| კობა ბაკურაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა მესაჩენკო | 3 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა გაბრიჭიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ლორთქიფანიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ფხაკაძე | 2 | 0 | 0 | 0 |

თ-თამაში; გ-გოლი;
ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

## საქართველოს ჩემპიონატი. 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| **იბერია** | **15** | **5** | **3** | **7** | **26:31** | **18** |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაიფია ამაღ ნაღდი

*იბერია:* მოგესალმებით საახალწლო ბალ-მასკარადზე!

*ტორპედო:* „მასკებში" რომ ვართ ყველა, იმის ამოცნობას შეძლებ?

*იბერია:* თავი მომჭერი, თუ ის „პაგონებიანი" კოსტიუმით...

*ტორპედო:* ვერ ხედავ? ორია მასეთი.

*იბერია:* მეორე ვინღაა?

*ტორპედო:* არმიელი იქნება.

*იბერია:* აა, თოფაძის ბიჭი?

*ტორპედო:* თოფაძის კი არა, თევზაძის.

*იბერია:* სადაა სამართალი? ლუდის ქარხნის დირექტორი თოფაძე უნდა იყოს და თავდაცვის მინისტრი თევზაძე?

*ტორპედო:* ის ნახე, ტიტანიკივით რომ შეკაზმულა.

*იბერია:* ფოთელი? დათვლილია მაგისი დღეები.

*ტორპედო:* უწია ცოდვებმა?

*იბერია:* ცოდვებმა კი არა, ლარის დაცემამ.

*გურია:* ძამა, რომ იძახიან, ლარი დაეცა, ლარი დაეცაო, მე რატომ არ დამეცა ეგ ლარი?

*იბერია:* ეგ პრეზიდენტს ჰკითხე.

*ტორპედო:* პრეზიდენტზე გამახსენდა. აბა, ვინ მეტყვის, რა განსხვავებაა პრეზიდენტსა და ბორჯომს შორის?

*გურია:* ერთადერთი — ბორჯომს ვადა აქვს...

*იბერია:* შეეშვით პოლიტიკას!

*ტორპედო:* ნუ გეშინია, „მასკებში" არ ვართ?

*იბერია:* ზუგდიდელია, არა, ტახის ფორმაში?

*ტორპედო:* რა გინდოდა, ბიჭო, ელიავა რომ მომაყენე?

*ოდიში:* თბილისში მიდიოდა წილის ასაღებად.

*ტორპედო:* რა წილის?

*ოდიში:* ხოხ, ელიავას ბაზრობიდან არაფერი ერგება, თუ?!

*იბერია:* მეზობელო, ის ვინღაა მუშის ფორმაში?

*ტორპედო:* რუსთაველია?

*იბერია:* რა იცი?

*ტორპედო:* წელან წუწუნებდა, სადაა ვახშამიო...

*იბერია:* წუწუნი მერე ნახე, ევროპულ სუფრას რომ გავშლი.

*ტორპედო:* ისე, კია დრო.

*იბერია:* ნამცხვრის ის ნაჭერი იმისთვის ხომ გადაინახე?

*ტორპედო:* რომელია, რომ ვერ ამოვიცანით?

*იბერია:* მახე მაქვს დაგებული და გავაბამ.

*ტორპედო:* რა მახე?

*იბერია:* კოპიტნარიდან თოვლის ბაბუა და ფიფქია მოდიან.

*ტორპედო:* მგონი, მოვიდნენ კიდეც.

*იბერია:* ვაშაა! ყველა შევეგებოთ!

*გურია:* აუჰ, რა კაი ფიფქიაა...

*ტორპედო:* ესაა შენი მახე?

*იბერია:* მოიცა, ჯერ მოგვიახლოვდნენ.

*ტორპედო:* შორიდან რა კაი ჩანდა და რა ბებერი ყოფილა?

*გურია:* აი ბებერი ქალბატონი არაა?

*დინამო:* მამიდა! რა ხდება ლიგაში?

*იბერია:* ნახე? როგორ გაიშიფრა?

*ტორპედო:* ტურა ხარ, ტურა!

*იბერია:* მე ფიფქიას გამოვიცვლევ, შენ კი იმოქმედე...

*ტორპედო:* 5 წუთში მზად იქნება.

*გორდა:* არ ვჭამოთ?

*ტორპედო:* ნამცხვარი მიირთვით, ბატონებო!

*იბერია:* რა ქენი, რა?

*ტორპედო:* ყველაფერი რიგზეა. ეგერ წევს.

*იბერია:* აღექი, ჩემპიონ!

*დინამო:* ვინ ხარ, ბიჭო და რას მერჩი?

*იბერია:* შენი სინდისი ვარ. აბა, გაიხსენე 1995 წელი...

*დინამო:* თვალები? საიდან მეცნობა ეგ თვალები?..

# სამტრედიის «იბერია». VII ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სამტრედიის „იბერია“ პირველი წრის დასასრულს მწვრთნელის გარეშე შეხვდა. მეცამეტე ტურის შემდეგ (როცა იმერლები საშინაო შეხვედრაში „სიონთან“ დამარცხდნენ) „იბერია“ ბადრი ქორიძემ დატოვა და მას შემდეგ აგერ თვენახევარია, სამტრედიელები ახალი თავკაცის მოლოდინში არიან. ამიტომაც, როცა გუნდის მესვეურთა მიერ პირველი წრის შეფასებაზე მიდგა საქმე, მათ პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლაიშვილს მივაშურეთ. მართალი გითხრათ, არჩევანში არც შევმცდარვართ — ჩვენს დღევანდელ რესპონდენტზე უკეთ ვერც ვერავინ შეაფასებდა პირველ წრეში „იბერიის“ განვლილ გზას.*



## ნუგზარ ნიკოლაიშვილი: საშუალოდ, ერთობ საშუალოდ

— „იბერიის“ პირველ წრეში გამოსვლას დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. საერთოდ, მოდით, საკითხი დავსვათ ამგვარად — რა იყო „იბერია“ ძუკუსთან ერთად და რა გახდა მისი ისრაელში წასვლის მერე. გიორგი დარასელია ჩვენი გუნდისთვის უდავოდ დიდი ძალა იყო, აკი გამოჩნდა კიდეც პირველ შეხვედრებში, რა შეეძლო „იბერიას“ მისი ძალისხმევით. გუნდმა ერთადერთი მატჩი ჩააგდო „ვიტ ჯორჯიასთან“ და მაშინაც, რომ არა მეკარის სუსტი თამაში, უთუოდ სხვანაირ შედეგს მივაღწევდით. დარასელიას წასვლის შემდეგაც ნორმალურად ჩაატარეს ბიჭებმა ერთი-ორი მატჩი, მაგრამ მერე ფინანსური პრობლემების გამო ერთი თვე გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ გვქონდა. მალე მწვრთნელიც წავიდა და შეიძლება ითქვას, წრის ბოლოსაც ამ ყველაფრის გამო გაგვიჭირდა.

**— ხომ არ დააკონკრეტებდით, რა ფინანსურ პრობლემებზეა საუბარი?**

— ბევრიც არაფერი, უბრალოდ, პრემია-ხელფასები ერთი თვით დაგვიანდა. ამით, ვიტყვი, რომ ისარგებლა ფეხბურთელთა გარკვეულმა ჯგუფმა და, როგორც თავად თვლიდნენ, ბოიკოტი გამოაცხადეს. ყურადღება მიაქციეთ, ეს ის მოთამაშეები იყვნენ, მინდორზე გასვლა სანახევროდ რომ არ უწევდათ და სამწუხაროდ, მათ სხვებიც აიყოლიეს. ზუსტად ერთ თვეში ჩვენ შევძელით დავალიანების დროულად გასტუმრება და „მეამბოხეებსაც“ ვაგრძნობინეთ, რომ ფეხბურთელი, რომელსაც გუნდის ინტერესებისთვის ოცდაათ დღესაც ვერ მოუცდის, არაფრად გვჭირდება. ყველაზე გულსატკენი კი ის იყო, რომ „იბერიაში“ ხელფასების, კვების და ანაზღაურების თვალსაზრისით აქამდე ყველაფერი რიგზე გვქონდა, ერთადერთხელ შეგვეშალა ხელი, ისიც დროებით და ამას მაშინვე კუდი გამოაბეს.

**— ეს ის პერიოდი იყო, როცა გუნდიდან ქორიძე წავიდა. მაინც, როგორ თვლით, რა იყო მთავარი მწვრთნელის წასვლის მიზეზი?**

— ეს რომ ავხსნათ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ საუბარი. პირველი წრის დასაწყისში ჩვენ გუნდს კონკრეტული ამოცანა დავუსახეთ, კერძოდ, ინტერტოტოზე გასვლა, დავაკმაყოფილეთ ყველა პირობა, რაც კი ქორიძემ წამოგვიყენა და დამატებითაც ხუთი თვის ხელფასი გადავუხადეთ წინასწარ. როცა გარკვეული დროის შემდეგ ნათელი გახდა, რომ „იბერიას“ ევროსაგზურებისთვის ბრძოლა გაუჭირდებოდა, მწვრთნელმა წასვლა გადაწყვიტა. ეს იყო და ეს. უჩვეულო და საგანგაშო „იბერიაში“ არაფერი მომხდარა.

**— გასაგებია, ახლა ცალკეული რგოლებიც შეადარეთ. „იბერიამ“ ბევრი გოლი გაიტანა და უფრო მეტი საკუთარ კარში მიიღო. როგორ თვლით, რომელი რგოლი უფრო სუსტად გამოიყურებოდა პირველ წრეში?**

— რგოლების შეფასებას მეკარეებით დავიწყებ. თავდაპირველად, როგორც იცით, ლაბაძე და ჩაჩუა გვედგა კარში და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. იყო შეხვედრები, სადაც მათი სუსტი თამაშის გამო გავუშვით გოლები. წრის შუაგულში „იბერიაში“ გუბაზ დოლიძე მოვიდა და საქმე შედარებით გამოსწორდა. დოლიძე გამოცდილი მეკარეა, თამაშის დროს კარნახიც შეუძლია და ამან გავლენა იქონია პირველი წრის საბოლოო შედეგზე. ისე, ერთი მაინც უნდა ვთქვა, გორის „დილასთან“ საგარეო შეხვედრაში დოლიძემ დასანანი ბურთი გაუშვა. ის მატჩი წავაგეთ და გუბაზმაც ვაჟკაცურად აღიარა თავისი ბრალი.

**— დაცვა?**

— „იბერიამ“ ბევრი გოლი გაუშვა და, რა თქმა უნდა, ამაში მცველების ხელიც ურევია. სეზონის „იბერიაში“ რვა ნომინალური მცველი ირიცხებოდა და სანამ მცველთა სასურველ ვარიანტს მივაღწიეთ, ძალიან ბევრი ბურთი მივიღეთ საკუთარ კარში. მხოლოდ წრის ბოლო მატჩებში მოვახერხეთ მცველების სასურველი ხუთეულის დაკონკრეტება და საქმე შედარებით გამოვასწორეთ.

**— ახლა ნახევარდაცვა და თავდასხმაც დავახასიათოთ...**

— მცველებზე რომ ვლაპარაკობდი, ისიც უნდა მეხსენებინა, რომ მათ ნახევარმცველები შედარებით სუსტად ეხმარებოდნენ და რომ არა სპეციალური დავალებები, არც ერთი მათგანი უკანაც არ მოიხედავდა. ის კი არა, თვითონ მცველებიც წინ იწევდნენ ყოველთვის და საერთოდ, გუნდი როგორღაც მხოლოდ შეტევაზე აკეთებდა აქცენტს. განლაგება: 5-3-2-ით, როგორც უნდა ეთამაშა „იბერიას“, მატჩის პროცესში ფეხბურთელების მიერ იცვლებოდა და, ფაქტობრივად, 3-5-2 გვიხდებოდა თამაში. ნახევარდაცვაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ამაშუკელი, დარასელია, ჩომახიძე, ბრეგვაძე ნორმალურად გაისარჯნენ და გოლებიც საკმაოდ გაიტანეს. წრის ბოლოს მარჯვენა მცველი სოსო გიგიაძე საყრდენ ნახევარმცველად გავამწესეთ და უნდა გითხრათ, მისი ნამდვილი ადგილი მინდორზე სწორედ ეს იყო. თავდასხმიდან ვასილ გიგიაძეს გამოვარჩევ. იგი რამდენიმე შეხვედრაში გამთამაშებლად თამაშობდა, მაგრამ აშკარაა, რომ ვასო თავდამსხმელის ამპლუაში უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს გუნდს. დასკვნის სახით კი იმას ვიტყვი, რომ შედეგიდან გამომდინარე ცალკეულმა რგოლებმა საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს და მეორე წრეში მეტის იმედიც გვაქვს, რადგან ფეხბურთელები მეტად შეთამაშებულნი იქნებიან.

**— მსაჯებსა და მსაჯობაზე როგორი შეხედულება გაქვთ?**

— მსაჯობის დონე ჩვენში მაღლდება — ეს აშკარაა. ისიც უნდა ვთქვა, რომ „იბერიას“ მესვეურები ყველანაირად ვერიდებით, გარიგებებში მონაწილეობას არბიტრებთან ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს — იმსაჯეთ ობიექტურად, ისე, რომ არც ჩვენ გვაწყენინოთ და მერე არც თქვენ დაგვრჩეთ ნაწყენი. ამიტომაცაა, სამტრედიაში მსაჯები თამაშებს აღარ აფუჭებენ და აღარც სტუმარია გულნატკენი, არც მასპინძელი, არც მსაჯი, არც მაყურებელი.

**— წრის ყველაზე კარგი და ცუდი მატჩები?**

— კარგად ვითამაშეთ „ბათუმთან“, „არსენალთან“... მითხრეს, რომ „დინამოსთანაც“ გამოსვლია გუნდს თამაში, ის შეხვედრა 2:2 ან 7:7 უნდა დამთავრებულიყოო. მე არ მინახავს. არ ვიცი... ცუდად კი „გორდას“ ვეთამაშეთ რუსთავში. საზიზღარი მატჩი იყო.

**— თითქმის ყველაფერი ვთქვით რაც სათქმელი იყო და ერთხელაც დავადასტურეთ, რომ პირველ წრეში გუნდის მიერ მიღწეული შედეგი გაკმაყოფილებთ.**

— გეთანხმებით. საშუალო გუნდი, საშუალო შედეგი — ნამდვილად ასეა.

**— თამაშის ხარისხი?**

— საშუალო, ერთობ საშუალო. დაიწყება მეორე წრე, გვეყოლება ახალი მწვრთნელი, მოვემზადებით, შეკრების გავლა იალტაში დავგეგმეთ და ვნახოთ...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ვასო გიგიაძე: ფიზიკაშიც გამოვსწორდები

*ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, პირველ წრეში „იბერიას“ შემადგენლობაში კარგი თამაშით რამდენიმე ფეხბურთელი გამოირჩეოდა — გიორგი დარასელია, შოთა ჩომახიძე, ვასო და სოსო გიგიაძეები. ამ კვარტეტიდან პირველი, როგორც იცით, სამტრედიელებს 8 მატჩში დაეხმარა და ისრაელს გასწია. „ხატულასთან“ საკმაოდ ვრცელი საუბარი არცთუ დიდი ხნის წინ შემოგთავაზეთ. საინტერვიუოდ ორი კანდიდატურა დაგვრჩა. სოსო თუ ვასო? გავბედეთ და ტყუპთაგან ათი წუთით უფროსზე შევაჩერეთ არჩევანი.*

**— ვასო, სოსოს ხომ არ ეწყინება ეს ამბავი?**

— რატომ უნდა ეწყინოს, ძმებს შორის შური?! ისე, ჩემთვის რომ გეკითხათ, სოსოსთან ლაპარაკს გირჩევდით. მაგრამ თქვენიც მესმის. სოსო დამცველია, მცველები კი მოედანზე იმდენად არ ჩანან, რამდენადაც შუა თუ წინახაზელები.

**— ჰო, მართლა, შენს ამპლუაზე გვითხარი, „იბერიაში“ ხან წინ იყავი, ხან ნახევარდაცვაში, ადგილი ვერ იპოვე თუ?**

— ყველაფერი გუნდის სათამაშო სქემიდან გამომდინარეობდა. როცა 4-5-1-ით გვიწევდა თამაში, ნახევარდაცვაში მიხდებოდა ყოფნა, წინ ხუჭუა იბრძოდა. 4-4-2-სას მეც თავდასხმაში მაყენებდნენ. საერთოდ, ადრე მხოლოდ წინ ვთამაშობდი, შუა მინდორში თამაშს „ტორპედოში“ სოსო ფრუიძემ შემაჩვია.

**— და შენ სად გირჩევნია?**

— ახლა შემტევი ნახევარმცველის როლი უფრო მხიბლავს.

**— პირველ წრეში 6 ბურთი გაიტანე, ექვსივე თამაშიდან, მაგრამ მეტიც ხომ შეგეძლო, მომენტები საკმაოდ ჰქონდა?**

— მართალია, მეტი უნდა გამეტანა, მაგრამ იღბალიც ხომ გინდა. თანაც მოედანზე კონკრეტული ადგილი როცა არა გაქვს მიჩენილი, ძნელია გადაწყობა.

**— „იბერიამ“ კარგად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ...**

— გუნდი მომზადებული შეხვდა ჩემპიონატს და სტარტიც ნორმალურად ავიღეთ, მაგრამ მერე დარასელია გამოგვაკლდა, მწვრთნელიც წავიდა და ველარ დავლაგდით. სიტუაცია „ლოკომოტივთან“ დასანანი მარცხის შემდეგ აირია.

**— ვასო, შენი და სოსოს „ტორპედოდან“ წასვლის მიზეზი რა იყო?**

— დღემდე ვერ გაგვიგია. თამაშს, თითქოს, არავინ გვიწუნებდა. სერგო კუტივაძე გვარწმუნებდა, ბესო ჯიქიამ გაგიშვათო, ჯიქია პირიქით, გვიმტკიცებდა, კუტივაძემ აგითვალწუნათო. კუტივაძე რომ „ტორპედოდან“ წავიდა, ჯიქიამ ბევრჯერ შემოგვითვალა, გუნდში დაბრუნდითო, მაგრამ ჩვენ აღარ ვქენით.

**— რამდენადაც ვიცი, „ტორპედოდან“ წამოსულებს „სამგურალი“ და თსუ გეპატიჟებოდათ. თქვენ კი მეორეჯგუფელი „იბერია“ არჩიეთ. რატომ?**

— დასამალი არაფერია, „იბერიას“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა გვთხოვა, ჩემთან სამი თვით წამოდით, გუნდის პირველ ჯგუფში დაბრუნებაში დაგვეხმარეთ და მერე უცხოეთში თამაშს გაგიხერხებთო.

**— მას შემდეგ სამი თვე კი არა, თითქმის წელიწადი გავიდა...**

— ისევ ნიკოლაიშვილმა დაგვიყოლია, მინდა ძლიერი გუნდი მყავდესო და ცოტა ხანს კიდევ დარჩითო.

**— ახლა რას აპირებთ ძმები?**

— „იბერია“ ძლიერ დასუსტდა. დარასელიაზე ვთქვი, ადრე წავიდა. ჩომახიძე „დინამომ“ აიყვანა, ხუჭუაც მიდის. ალბათ, ჩვენც წავალთ.

**— სად?**

— რამდენიმე წინადადება გვაქვს. ყველაზე რეალურად „ვიტ ჯორჯიას“ ვარიანტი გვეჩვენება.

**— „ტორპედო“ არ შეგხმიანებიათ?**

— როგორ გითხრათ, ამასწინათ „ტორპედოს“ ერთ - ერთმა მწვრთნელმა სახლში მოგვაკითხა, გუნდში დაბრუნებაზე რას იტყვითო, მაგრამ კონკრეტული საუბარი არ გვქონია. მას შემდეგ ახალიც არაფერია.

**— ვასო, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებიდან ვის გამოარჩევდი?**

— დათო ჯანაშიას, ცქიტიშვილს, აშვეთიას.

**— შენი ასარჩევი რომ იყოს, რომელ ქვეყანაში ითამაშებდი?**

— ესპანეთის ჩემპიონატში. იქ ღია, სწრაფ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ.

**— ტექნიკა ნამდვილად არ გაკლია, მაგრამ ფიზიკურად თუ შეძლებ?**

— ფიზიკური მომზადების მხრივ ბევრი სამუშაო მაქვს, მაგრამ ეს ნაკლი გამოუსწორებელი არ არის.

**იუზა ძაციტაძე**



ვასო გიგიაძე (ბურთით) ბათუმელ გიგა გადელიას დაუსხლტა

# მაღალი, ქერა მამაკაცი შავ ბუცებში

„პატარა“ — ასე ითარგმნება ამ ფრანგი ფეხბურთელის გვარი ქართულად. თუმცა ემანუელ პეტიზე ვერავინ იტყვის, პატარააო. იგი ნამდვილად დიდი ფეხბურთელია. საფრანგეთის ნაკრებსა და ინგლისურ „არსენალს“ მოედნის ცენტრში პრობლემები იშვიათად ექმნებათ, რადგან მათ ნახევარდ.ცვაში ფუტკარივით დაუღლელად მუშაობს მაღალი ქერა მამაკაცი შავ „ბუცებში“. პეტის პროფესიონალიზმი ყველასთვის, განსაკუთრებით კი ქართველი ფეხბურთელების უმეტესობისთვის, მისაბაძია. იგი ნამდვილად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის და მეტოქეს არაფერს უთმობს. ამას დაუმატეთ მშვენიერი ტექნიკა, კარგი ტაქტიკური აზროვნება და მიხვდებით, თუ რატომაა ემანუელ პეტი ნაკრებშიც და კლუბშიც თითქმის შეუცვლელი. დღეს გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც ფრანგულმა ყოველთვიურმა საფეხბურთო ჟურნალმა „ონზმა“ გამოაქვეყნა.



**— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თუ უყურეთ ფინალურ შეხვედრას?**

— იმავე საღამოს ვნახე თამაში. ასევე ვიხილე „CANAL+“-ის ფილმი „ლურჯებს შორის“. არაჩვეულებრივი ნამუშევარია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში ჩანს გუნდის ერთსულოვნება და სწრაფვა გამარჯვებისკენ.

**— ფეხბურთელები ასე რამ შეაკავშირა?**

— ეს მეტად რთული და ხანგრძლივი სამუშაო იყო, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ნაკრების 22 მოთამაშიდან დიდი ნაწილი უკვე კარგა ხნის განმავლობაში იცნობდა ერთმანეთს, ცოტა გააადვილა გუნდის შეკვრა. ჩვენი ურთიერთობა და ერთმანეთისადმი პატივისცემა ნამდვილად განსაცვიფრებელი გახლდათ. ამან შესაძლებლობა მოგვცა, არაფრისთვის მიგვექცია ყურადღება და ისე გაგვეგრძელებინა წინსვლა დასახული მიზნისკენ.

**— ემე ჟაკემ შეძლო ასეთი მშვენიერი გუნდის სწორ გზაზე დაყენება?**

— მე მის უკეთ გასაცნობად დიდი დრო დამჭირდა. იგი თავის საქმის დიდი პროფესიონალია და როცა რაღაც იდეა მოსდის თავში, ყველანაირად ცდილობს, მის განხორციელებას. მას ხშირად აკრიტიკებდნენ. გულახდილად გეტყვით, რომ იყო რაღაც მომენტი, როცა მეც მეპარებოდა მასში ეჭვი, როგორც მას ჩემში. საბედნიეროდ, ყველაფერი ეს გაქარწყლდა. მან რაც მთავარია, მშვენიერი გუნდი ჩამოაყალიბა. ემე ჟაკე თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან პატივსაცემი პიროვნებაა.

**— წარმოიდგენდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ამისთანა სიხარულს მოგიტანდათ?**

— რა თქმა უნდა, ერთ რამედ ღირდა ხალხის ბედნიერი სახეების ყურება. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორი თვის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის თამაშზე ლანსში ჩავედით, საოცრად შემხვდა იქაური ხალხი. ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ ფრანგებს 12 ივლისი. ვფიქრობ, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი.

**— რითი აიხსნება თქვენი პროგრესი ფეხბურთში?**

— მონაკოში თამაშმა დიდი გამოცდილება შემძინა, ვხვდებოდი, რომ უფრო მეტის გაკეთება შემეძლო. ჩემი თავის სრულიად წარმოჩენის საშუალება დღევანდელმა ჩემმა კლუბმა „არსენალმა“ მომცა. აქ სულ სხვაგვარად არის. ჩემი ამპლუის გარდა ხშირად შეტევაშიც ვერთვები და გოლებიც გამაქვს.

**— არსენ ვენგერმა თუ ითამაშა რაიმე როლი თქვენს ძლიერ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში?**

— იგი, ალბათ, ის ადამიანია, რომელმაც ყველაზე უკეთ შეძლო ჩემი საუკეთესო თვისებების დანახვა. მან მშვენივრად იცის, რისი გაკეთება შემიძლია და რისი — არა. მე კი, ჩემი მხრივ, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად შევასრულო მისი დავალებები. დღესდღეობით სულ რამდენიმე ადამიანია, ვისთვისაც მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო და არსენიც მათ განეკუთვნება.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძალიან პოპულარული გახდით ფრანგ მანდილოსნებს შორის. თუ გრძნობთ ამას?**

— დიახ, რასაკვირველია, ვგრძნობ ამას და ძალიან მსიამოვნებს. მრავალ წერილს ვღებულობ. ბევრს სურს, უფრო ახლოს გამიცნოს და გაიგოს, როგორი ვარ რეალურ ცხოვრებაში.

**— ნაკრების 22 ფეხბურთელს შორის რომ ვერ მოხვედრილიყავით, რა მოხდებოდა?**

— ამაში, ალბათ, მარტო ტრავმა თუ შემიშლიდა ხელს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი იმედგაცრუება იქნებოდა. ოთხი წელი ველოდი ამას და დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ საუკეთესო ფორმა დამებრუნებინა.

**— დანიის ნაკრების კარში გატანილმა ბურთმა ფრთები ხომ არ შეგასხათ?**

— არა, ეს რომ ჩემი პირველი გოლი ყოფილიყო საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში, მაშინ არ ვიცი, რა იქნებოდა. დანიასთან თამაშის წინ ძალიან მობილიზირებული ვიყავი, ვგრძნობდი, რომ უნდა მეთამაშა ის მატჩი, რომელიც სიამოვნებას მომანიჭებდა და, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— 1993 წლის 17 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ, როდესაც გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდით ბულგარეთის ნაკრებთან და ჩემპიონატს მიღმა დარჩით, თქვენ დიდი კრიტიკა დაგატყდათ თავს...**

— თითოეულმა ფეხბურთელმა ძალიან განიცადა ეს მარცხი. ვერ ვხვდები, რატომ გამაკრიტიკეს მარტო მე. მეტად დასანანი იყო, რომ ვერ მოვხვდით აშშ-ში, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ხდება. წლევანდელი ჩემპიონატისთვის კი ძალიან მობილიზებულები ვიყავით ყველანი და გვჯეროდა, რომ ჩემპიონები გავხდებოდით.





ემანუელ პეტი კლუბშიც დიდებულად თამაშობს და ნაკრებშიც

**— გგონიათ, რომ მწვერვალს მიაღწიეთ?**

— მე არა, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებმა კი. ჩემპიონატის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩემპიონები სწორედ ჩვენ გავხდებოდით. ძალიან კარგი დაცვა კი გვყავდა, მაგრამ თავდასხმაში პრობლემები გვქონდა. საბოლოოდ კი ყველაზე მეტი გოლი გავიტანეთ და ყველაზე ცოტა გავუშვით. ფინალშიც 3:0 გავიმარჯვეთ ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებთან.

**— ნაკრებიდან ემე ჟაკეს წასვლაზე რა აზრის ხართ ან თუ გსურდათ, რომ დარჩენილიყო თავის პოსტზე?**

— ყველამ თავის საქმე იცის. ნორმალურია, რომ ის წავიდა, რადგან რასაც მან მიაღწია, მეტის ნატვრა შეუძლებელია. ახლა ჟაკე უნდა დატკბეს თავისი წარმატებით. მეც მის ადგილზე ასე მოვიქცეოდი. რა ჯობს იმას, როცა შენზე იტყვიან: „მან გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა“. სხვა მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა.

**— ნაკრების მთავარ მწვრთნელად როჟე ლემერის დანიშვნით თუ შეიცვალა რაიმე გუნდში?**

— მას ყველა იცნობს. მისი დანიშვნა მოულოდნელი არ ყოფილა. ლემერი ჟაკესავით დიდი პროფესიონალია. იგი ბევრ რამეში გვეხმარება. როჟესთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა, არავითარი პრობლემა არ გვექმნება მასთან ურთიერთობაში.

**— ალბათ, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასვლა მსოფლიოს ჩემპიონი გუნდისთვის პრესტიჟის ამბავია.**

— ჩემპიონები რომ არ გავმხდარიყავით, ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონობა იქნებოდა. ამჟამად ვალდებულნი ვართ, მხოლოდ კარგი თამაში ვაჩვენოთ და ხალხს ტრიბუნები ყოველთვის შევავსებიოთ. რთულია ფავორიტის როლში ყოფნა, რადგან უფრო მეტს გთხოვენ და მით უმეტეს მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ხარ. აღსანიშნავია ისიც, რომ საფრანგეთის ნაკრების წევრთა უმრავლესობა ევროპის უძლიერეს კლუბებში თამაშობს, და საკმაოდ კარგადაც.

**— მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვიეირას პასით ბრაზილიელთა კარში მესამე გოლი გაიტანეთ...**

— დიახ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გოლია, რაც ჩემს ცხოვრებაში გამიტანია. მე და ვიეირა, ვფიქრობ, კარგად ვთამაშობთ „არსენალში“. იგი ძალიან კარგი ფეხბურთელია და ასევე კარგი ადამიანია.

**— მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შემდეგ, ალბათ, უფრო მეტი მოგეთხოვებათ?**

— ცხადია, ხალხი მეტს ელის ჩემგან. მეც ვცდილობ, იმედი არ გავუცრუო. ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი მინდორზე და მომავალშიც ასე იქნება.

**— ინგლისის ჩემპიონატში თქვენმა კლუბმა დუბლი შეასრულა, მსოფლიოს ჩემპიონი გახდით ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. რაიმე ძალა თუ გიბიძგებთ კიდევ წინსვლისკენ?**

— რა თქმა უნდა, უფრო მეტი ტიტულის მოპოვება.

**— რა ბედი ეწია თქვენი ფინალის მაისურს და ოქროს მედალს?**

— შევინახე, როგორც სხვა პრიზები.

**— იმის გასახსენებლად, რომ ჩემპიონი ხართ?**

— ო! არა! მიყვარს, როცა ცხოვრება გრძელდება. ორმოცდაათი წლის ასაკში, თუკი ცოცხალი ვიქნები, უკვე დავიწყებული მექნება ეს ტიტული. სამაგიეროდ, ყოველთვის მემახსოვრება მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ელისეის მინდვრებზე გამოსვლა...

თარგმნა კახა თალაკვაძემ

# რა ღირს დენილსონი?

მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი დენილსონი და მეორე ბრაზილიელი ჟუნინიო მადრიდის „ბარახასის“ აეროპორტში მომლიმარი სახეებით თვითმფრინავში ჩასხდნენ და სამშობლოში გაემგზავრნენ — ოჯახებთან ერთად უნდა იზეიმონ შობა-ახალი წელი.

კი მაგრამ აქვს სასაცილოდ დენილსონს საქმე? ალბათ, არა, ვინაიდან სევილიურმა „ბეტისმა“ ამ პატარა ბიჭში ჯერ არნახული თანხა, 35 მილიონი დოლარი გადაიხადა, ის კი თურმე ამ ფულის მეათედიც არ ღირს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

დღესდღეობით ესპანეთში, განსაკუთრებით სევილიაში, სწორედ ამ საკითხებზე მიმდინარეობს სჯა-ბაასი. ღირდა კი დენილსონი 35 მილიონი? შეძლებს იგი კრიზისიდან თავის დაღწევას? და ბოლოს და ბოლოს რა ჭირს ამ 21 წლის ყმაწვილს? — ეს კითხვები ბუნებრივად დაიბადა და ეს მხოლოდ დენილსონის ბრალია.

არადა იგი ბრაზილიაშიც კი ბრწყინავდა თავის უზადო ტექნიკით, ქვეყანაში, სადაც ბურთთან განსაკუთრებული ურთიერთობა არავის უკვირს. დენილსონმა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასე თუ ისე თავი გამოიჩინა, თუმცა ზაგალომ არ მისცა ბოლომდე გახსნის საშუალება — მხოლოდ მატჩის მიწურულს გაჰყავდა მინდორზე (ნორვეგიასთან შეხვედრის გარდა, სადაც მან მთელი 90 წუთი ითამაშა). საბოლოოდ იგი „ბეტისში“ აღმოჩნდა და ვერც ვისენტე კანტატორეს და ვერც ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ხავიერ კლემენტეს თავკაცობით ვერაფერი შექმნა ღირებული. ორიოდ კვირის წინ დენილსონმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ პენალტი გააფუჭა, რამაც ცეცხლზე ნავთი კიდევ უფრო დაასხა. საერთოდ, ბოლო ხუთი შეხვედრიდან სამში 21 წლის ბრილიანტი სათადარიგოებს შორის იმყოფებოდა.

— ეს ჩემი ცხოვრების უმძიმესი მონაკვეთია, დეპრესიაში ვიმყოფები. კარგა ხანია, იღბალს დავეძებ და ვერაფრით მიპოვია, რატომ, არ ვიცი. ყოველდღე ღმერთს ვევედრები, რომ დახმარების ხელი გამომიწოდოს და იმედი მაქვს, მალე ყველაფერი გამოსწორდება. ასე გაგრძელება უბრალოდ აღარ შეიძლება, ველარ გადავიტან — დენილსონს მართლაც ძალიან უჭირს და ეს მარტო მას არ ალელვებს.

მაშინ მოდით იმ ხალხსაც მოვუსმინოთ, ვისაც ფეხბურთელთან კავშირი ჰქონია, აქვს და ექნება. ასეთები კი მრავლად არიან. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სხვა თუ არაფერი, დენილსონი ყველაზე ძვირფასი მოთამაშეა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

ჯერ იმ ადამიანით დავიწყოთ, ვისაც ჰქონდა მასთან კავშირი. ასეთი კი „ბეტისის“ ექსთავკაცი ვისენტე კანტატორეა.

— დენილსონი „სან პაულუში“ 12 წლის ჩაირიცხა, მეგობრებს შორის იზრდებოდა და თამაშობდა. რამაც მის, როგორც მაღალი დონის ფეხბურთელის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი. „სან პაულუში“ ყველა მასზე ზრუნავდა, ახლა კი იგი ევროპაში თამაშობს. ხალხი, რომელიც ადრე მას ეხმარებოდა და მისი მეგობარი იყო, ახლა კოლეგებმა შეცვალეს. ამიტომ გაუჭირდა. დენილსონის ფსიქიკაზე ავადსახსენებელი 35 მილიონის ფაქტორიც ახდენს გავლენას. ამ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ბიჭს ყოველდღე ესმის, რომ იგი უძვირფასესია და ეს ტიტული უნდა გაამართლოს, სხვა გზა მას ვითომდა არა აქვს. დროთა განმავლობაში ამ საუბრებს რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს, თორემ საქმეები უფრო და უფრო ცუდად წაუვა.

ახლა იმ ადამიანს მოვუსმინოთ, ვისაც ამჟამად აქვს საქმე დენილსონთან. ეს ხავიერ კლემენტე გახლავთ, „ბეტისის“ თავკაცი.

— შეიძლება იგი გენიოსია, მაგრამ მე მისგან სხვას მოვითხოვ. ჩემი აზრით, ამ ბიჭმა ვარჯიშზე გაცილებით მეტი უნდა იმუშაოს თავის თავზე და შედეგად მინდორზე გაცილებით სწრაფად უნდა ირბინოს, იმოქმედოს და იაზროვნოს. როცა ამას მიაღწევს, მერე რამდენიც უნდა, იმდენი აფრქვიოს თავისი გენია.

დაბოლოს, ყური დავუგდოთ კაცს, ვისათანაც ჩვენი წერილის გმირს მომავალში ექნება საქმე — ბრაზილიის ეროვნული გუნდის თავკაც ვანდერლეი ლუქსემბურგოს, რომელიც ახალ თანამდებობაზე მისვლის შემდეგ დენილსონს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ამას მარიო ზაგალო აკეთებდა.

— დენილსონს ინდივიდუალური ყურადღება სჭირდება, რადგან განსაკუთრებული ტალანტის პატრონია. ეს მე ძალიან კარგად ვიცი და მასთან მუშაობის საგანგებო გეგმაც შევადგინე.



დენილსონი და რობერტო კარლოსი

ასეთი გახლავთ ამ ხალხის აზრი დენილსონზე. დამერწმუნებით, განსხვავებული მოსაზრებებია, მხოლოდ სამივე აღიარებს, დენილსონი განსაკუთრებული ფეხბურთელიაო. ჰოდა, ყველაფერი განსაკუთრებული რომ ძნელი ასათვისებელია, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომაც დროა საჭირო, რათა საბოლოოდ გაეცეს ამ კითხვას პასუხი — ღირს დენილსონი 35 მილიონი?

ნოდარ ქასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სან პაულუდან

„კორინთიანსის“ ფეხბურთელები პირველობას ზეიმობენ

# მოთვინიერებულნი

## ბრაზილია

**მესამე ფინალური მატჩი**

**კორინთიანსი 2:0 კრუზეირო**

1:0 ედილსონი (65), 2:0 მარსელინიო კარიოკა (83)

კორინთიანსი: ნეი, ინდიო, ბატატა, კარლოს გამარა, სილვინიო, ვამპეტა, ფრედი რინკონი, რიკარდინიო, მარსელინიო კარიოკა, მირანდინია (დინეი 46), ედილსონი

კრუზეირო: დიდა, გუსტავო (ალექს ალვეში 73), მარსელო ჟიანი, ჟოაო კარლოსი, ჟილბერტო, ვალდირი (კაიო 57), რიკარდო სანტოსი (მარსელო რამოსი 57), ვალდო, ჟაირი, მიულერი, ფაბიო ჟუნიორი

„კორინთიანსი“ ბრაზილიის ჩემპიონია. 23 დეკემბერს სან პაულუს კლუბს „კრუზეიროსთან“ შეხვედრაში ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ მოიგო, თანაც ორი ბურთის სხვაობით და თავის წარმატებას უფრო ღირსეული ელფერი შესძინა.

სამრაუნდიანი ფინალის პირველი ორი მატჩი ფრედ დასრულდა — 2:2, 1:1. ამიტომ სტუმარ „კრუზეიროს“ ოთხშაბათს მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრა. თუმცა იმ დღეს „კორინთიანსი“ ერთი თავით სჯობდა მეტოქეს.

ეს შეხვედრა ვანდერლეი ლუქსემბურგოსთვის ბოლო იყო „კორინთიანსის“ მთავარი მწვრთნელის რანგში. ამიერიდან მისი ერთადერთი საზრუნავი ბრაზილიის ეროვნული გუნდი იქნება. შეგირდებმაც პატივი სცეს მასწავლებელს და მშვენიერი გაცილება მოუწყვეს. გუნდი მეორედ გახდა თავის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონი. პირველად ასეთ წარმატებას სან პაულუელებმა 1990 წელს მიაღწიეს. რაც შეეხება „კრუზეიროს“, იგი ბრაზილიის ჩემპიონი არასდროს ყოფილა, თუმცა ორჯერ სამხრეთ ამერიკაში არავის დაუთმო პირველობა (ლიბერტადორესის თასის მფლობელი გახლდათ).

შეხვედრა საღამოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ორიოდ კვირის წინ კლუბები შეთანხმდნენ, ეს დრო ოთხი საათით ადრე გადაეწიათ. მიზეზი, ცოტა არ იყოს, უცნაური, თუმცა პირწმინდად ბრაზილიური გახლდათ — 23 დეკემბერს, საღამოს, ტელევიზიით ბავშვებისთვის საგანგებოდ მომზადებული საშობაო პროგრამა უნდა გასულიყო. ამ ორ მოვლენას კი ერთმანეთს ვერ დაამთხვევდნენ — ბრაზილიაში თანაბრად ეთაყვანებიან ბავშვებს, სარწმუნოებას, გართობას და ფეხბურთს.

ერთი სიტყვით, ეს საინტერესო მატჩი დაგეგმილზე ადრე დაიწყო და მისი პირველი ტაიმი საზიზღარი სანახავი გამოდგა. ალბათ, იმიტომ, რომ სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდო. მეორე ნახევარში კი თამაში „გაიხსნა“, რამაც პირველ ყოვლისა მასპინძელთა წისქვილზე დაასხა წყალი.

ანგარიში 65-ე წუთზე გაიხსნა. დინეის შესანიშნავი პასის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ედილსონმა დიდა უშანსოდ დატოვა და „კორინთიანსის“ ქომაგები საზეიმოდ განაწყო, ხოლო როდესაც იმავე დინეიმ მეორედ გაიბრწყინა, კლუბის საუკეთესო მეგოლეს, ამას წინათ ლუქსემბურგოსთან ნაჩხუბარ მარსელინიოს ბურთი ფეხზე დაასვა და ანგარიშიც გაიზარდა, სან პაულუში უფრო ხმამაღლა გაიჟღერა სამბას ჰანგებმა. მარსელინიოს ჩემპიონატში მე-19 გოლმა (ბომბარდირობისთვის ბრძოლაში იგი მხოლოდ „სანტოსელ“ ვიოლას ჩამორჩა) ბრაზილიის პირველობას წერტილი დაუსვა და ქვეყანას ახალი ჩემპიონი მოუვლინა.

რა შეიძლება ითქვას „კორინთიანსზე“? უპირველესად ისრომ იგი ღირსეულად გახდა პირველი. შარშან, როდესაც გუნდი უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა, თვით ყველაზე გიჟმაჟი სანპაულუელი ტორსედორიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ლუქსემბურგოს გუნდი წლეულს ასეთ წარმატებას მიაღწევდა. ეს კი უწინარეს ყოვლისა სწორედ ბრაზილიის ნაკრების ახალი თავკაცის დამსახურებაა.

კიდევ ის უნდა აღინიშნოს, რომ „კორინთიანსი“ ტიპიურ ბრაზილიურ ფეხბურთს ერთგულობს — დაცვაში უხეშს, მთლიანობაში ტექნიკურს და ცოტა უდისციპლინოსაც.

უწესრიგობა განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ. მაგალითად, გადამწყვეტი მატჩის გმირი დინეი (კლაუდიო ალექსანდრ პირესი), 1996 წელს „კორიტიბაში“ რომ გამოდიოდა, სადოპინგო შემოწმებაზე ჩავარდა და 8 თვით ფეხბურთს ჩამოაშორეს. მაშინ იგი თურმე კოკაინს ეძალებოდა. დინეი დისკვალიფიკაციის შემდეგაც არ თაკილობდა „ცხვირის წვალებას“ და შედეგად ადგილობრივ საფეხბურთო ჩინოვნიკებთანაც მუდმივი უთანხმოება ჰქონდა. თუმცა წლეულს მას ლუქსემბურგომ „რკინის ხელი“ ჩაავლო და ექსნარკომანი სათანადოდ აათამაშა — როგორც უკვე ვთქვით, დინეიმ უდიდესი წვლილი შეიტანა „კორინთიანსის“ ტრიუმფში.

ედილსონმა, რომელმაც ფინალურ მატჩში მიმდინარე სეზონში თავისი მე-16 გოლი გაიტანა, წლის დასაწყისში რამდენჯერმე დაარღვია კანონი და გუნდიდანაც მოკვეთეს. კანონის მთავარი დარღვევა კი იმაში გამოიხატა, რომ პოლიციელს, რომელმაც მას მანქანის არასწორად დაყენებაზე მიუთითა, ედილსონმა კინაღამ ყბა მოტეხა. თუმცა, დინეის მსგავსად, ლუქსემბურგომ ედილსონიც მოათვინიერა და ეს უკანასკნელიც ღირსეულად აბურთავდა.

„მომთვინიერებელ“ ვანდერლეის ყველაზე მეტად ერთობ მერყევი ხასიათის მქონე მარსელინიოს დამორჩილება გაუჭირდა — კლუბის ბომბარდირი კერკეტი კაკალი გამოდგა. მართალია, მას არც კანონის დამცველი გაულახავს და არც კოკაინით გაბრუებულა, მაგრამ სისტემატურად არღვევდა რეჟიმს. კონფლიქტმა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის პიკს ერთი თვის წინ მიაღწია, როდესაც ლუქსემბურგომ უძღები შვილი ნაკრებიდანაც მიაბრძანა და კლუბიდანაც. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ამ ხერხმა გაამართლა — მარსელინიო დამრიგებელს შეურიგდა და წესიერადაც იქცეოდა.

აი, ასეთი მძიმე სეზონი გადაიტანა ბრაზილიის ნაკრების 46 წლის თავკაცმა — იგი „კორინთიანსის“ სათამაშო სქემებზეც მუშაობდა, კლუბის წევრთა ყოფაქცევაზეც და ეროვნული გუნდის წარმატებებზეც.

და ლუქსემბურგომ ყველგან გაამართლა.

**დავით კოპზირიძე**

# ხუთი მოსაზრება ბებერი ქალბატონის დაუძლურების შესახებ

**წიწილებს** შემოდგომაზე ითვლიან, ქულებს — გაზაფხულზე. ახლა შობა-ახალი წელია, მაგრამ ეს დროც არაა ურიგო გარდასულის ანალიზისთვის, თუმცა ფეხბურთში, ვიმეორებთ, საამისოდ ყველაზე უპრიანი ივნისია.

ივნისამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს და ის, რაზეც ამ წერილშია საუბარი ნაწილობრივ სხვანაირად გამოჩნდეს, მაგრამ დღეს ასე ჩანს: „იუვენტუსი“ ის აღარაა, რაც იყო.

ვგონებთ „იუვენტუსი“ ჩვენი ყურადღების მოცდენის ღირსია, რამეთუ იტალიის ქალაქ ტურინის ამ კლუბმა ბოლო ოთხ წელიწადში მსოფლიო ფეხბურთში თავისი ომახიანი სიტყვა თქვა, მოსაგები ყველაფერი მოიგო და გარკვეული სტერეოტიპებიც ჩამოაყალიბა, მიმდინარეობა შექმნა.

და აი, ეს გუნდი შობის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში, იტალიის პირველობაზე „სალერნიტანას“ 3:0 მოუგო, ფერმკრთალი ჩანს. „სალერნიტანასთან“ გამარჯვებამდე, ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ 0:1 წაგებამ იგი ლიდერს („ფიორენტინას“) 10 ქულით ჩამოარჩინა და ზედიზედ მესამე ჩემპიონობის იმედი პრაქტიკულად ქარს გაატანა.

ფლორენციაში „ბებერმა ქალბატონმა“ ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია. სტატისტიკოსებს არ გამოპარვიათ, რომ მან 419 წუთის განმავლობაში გოლი ვერავის გაუტანა.

„იუვენტუსი“ გამოეთხოვა საკუთარ თავს, მოგონებებს, ოცნებასა და სკუდეტოს — წერდა „ლა რეპუბლიკა“.

„ფლორენციულმა საღამომ ჩემპიონატის ბედი ნაწილობრივ გადაწყვიტა, „იუვენტუსი“ კი ტიტულს აშკარად გამოეთხოვა“ — წერდა „კორიერე დელო სპორტი“.

ფლორენციაში წაგების წინა დღეს ერთი ნიშანდობლივი რამ მოხდა, „ბებერი ქალბატონის ბოლო წლების წარმატებათა შემოქმედმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს ტურინიდან მიდის, რამდენადაც ცნობილია მილანის „ინტერში“.

მოგვიანებით დაირხა ხმები, რომ ლიპი „ინტერში“ ალესანდრო დელ პიეროს, ანჯელო დი ლივიოს და კიდევ ერთი-ორი კაცის წაყვანას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე სერიოზულად მსჯელობა არ შეიძლება, რადგან ეს მარტო ლიპიზე არ არის დამოკიდებული.

ახლა გვსურს მოვიყვანოთ ხუთი ყველაზე გავრცელებული მოსაზრება „იუვენტუსის“ შედარებითი დასუსტების შესახებ (შედარებითს ვამბობთ, რადგან „იუვენტუსი“ ჯერ კიდევ იბრძვის იტალიისა და ევროპის უდიდესი ჯილდოებისთვის).

**მოსაზრება პირველი:** „იუვენტუსი“ ჩემპიონთა თასის ფინალში ზედიზედ მეორე დამარცხებამ გატეხა. გავიხსენოთ, რომ ტურინელები 1996, 1997 და 1998 წლებში ზედიზედ გადიოდნენ ევროპის ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრების ფინალში, იქ კი პირველად მოიგეს, ხოლო მერე მარცხდებოდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1996 წელს, „აიაქსთან“ ტურინელებმა პენალტებით მიაღწიეს გამარჯვებას (ესე იგი თამაშით ვერც მაშინ მოიგეს), „დორტმუნდთან“ (1:3) და „რეალთან“ (0:1) კი სწორედ 90 წუთში წააგეს.

**მოსაზრება მეორე:** ტურინის გუნდს ჰყავს ორი კაშკაშა ვარსკვლავი, რომელთა თამაშზე ძალიან არის დამოკიდებული შედეგი. ერთი ვარსკვლავი ფრანგი გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი გახლავთ. მან „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ზედიზედ ორი ფინალი წააგო („აიაქსთან“ გამარჯვების დროს იგი „ბორდოში“ გამოდიოდა), ხოლო თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. შესაბამისად, ზიდანმა მოტივაცია დაკარგა. იგი ფეხბურთის უმთავრესი ჯილდოს მფლობელია, ხოლო გუნდში, რომელიც ფინალებს აგებს უკვე (თავისდა უნებურად) ისე ველარ თამაშობს. მეორე ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინებას ეშურებოდა, არადა ერთ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ მოთამაშედ წარმოჩნდა და ამან გული გაუტეხა, რასაც ზედ ამასწინანდელი ტრავმაც დაერთო.

**მოსაზრება მესამე:** ყველაფერი სატრანსფერო პოლიტიკის ბრალია. ბოლო წლებში „იუვენტუსი“ სხვა მდიდარი კლუბების საპირისპირო გზას ადგა. მაშინ, როდესაც „ინტერი“, „ლაციო“ და სხვანი ახალი ვარსკვლავების შესაძენად ათეულობით მილიონ დოლარს ხარჯავდნენ („ლაციომ“ გასულ ზაფხულს 100 მილიონამდე გაიღო) „იუვენტუსი“ მეორეხარისხოვანი გუნდებიდან ნიჭიერ ფეხბურთელებს ყიდულობდა, ზრდიდა, ვარსკვლავად აქცევდა და ყიდდა. ტურინელები თავიანთ აღიარებულ მოთამაშეებსაც ყიდიდნენ, მოკლედ ტრანსფერი მათთვის ერთგვარ შემოსავლის წყაროდ იქცა. გაყიდეს რობერტო ბაჯო, ჯანლუკა ვიალი, ფაბრიციო რავანელი, ალენ ბოკშიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, კრისტიან ვიერი... სანაცვლოდ კი რა? განა შეიძლება მარჩელო ლიპიმ და მის თანაშემწეთა ამალამ ყოველ წელიწადს აღმოაჩინონ ნიჭიერი ახალგაზრდა? და აი, დადგა დრო, როდესაც დელ პიერო დაშავდა, დავიდსიც მკურნალობს და შესაბამისად „იუვენტუსი“ ერთი ზიდანისა და საშუალო ნიჭის, ჯანღონით სავსე ფეხბურთელების ამარა დარჩა.

**მოსაზრება მეოთხე:** „იუვენტუსის“ სტილი უკვე ყველამ იცის, გუნდის საიდუმლო ამოხსნილია და მის წინააღმდეგ თამაშის რეცეპტიც საქვეყნოდ გახდა ცნობილი. როდესაც ლიპი ტურინში მივიდა, დაიწყო იმ გუნდის შექმნა, რომლის თამაშის მანერაც ერთი წინადადებით, უფრო სწორედ დევიზით ასე გამოითქმება: „ფასეული მხოლოდ შედეგია“. დღეს მეტოქეები „იუვენტუსს“ ზუსტად იგივეს უკეთებენ, რასაც ამ წლების განმავლობაში თავად უკეთებდა მათ — ხელს უშლიან თამაშში.

**მოსაზრება მეხუთე:** ნებისმიერი დიდი გუნდი ადრე თუ გვიან უნდა დასუსტდეს. ეს ცხოვრებისეული ლოგიკაა. აქ ის კანონები მოქმედებენ, რომელთა ძალა ადამიანისას აღემატება და რომელთა შეცნობაც კაცთათვის ძნელია. 90-იანი წლების დასაწყისში იტალიაშივე იყო დიდი „მილანი“, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ამა სოფლის კანონი: ნებისმიერი არსება თუ პროცესი იბადება, ვაჟკაცდება და კვდება.ახლა სიბერის ჟამი ლიპისეულ „იუვენტუსს“ დაუდგა.



სარბიელის არქივიდან

რა ქნას მარჩელო ლიპიმ, ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება

სადღეისოდ ეროვნულ პირველობაზე „იუვენტუსს“ 15 გოლი აქვს გატანილი — მასზე ნაკლები მხოლოდ ბოლო ხუთ გუნდს აქვს.

„იუვენტუსი“ მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდა — „წითელ-ყვითელ“ ცხრილში ლიდერია.

ბოლო შვიდ შეხვედრაში ტურინელებმა ერთხელ გაიმარჯვეს.

ჩემპიონთა ლიგაში „ბებერმა ქალბატონმა“ ხუთი ფრე ითამაშა და მხოლოდ ერთხელ მოიგო.

1999 წელს „იუვენტუსი“ სტუმრად, „მილანთან“ თამაშით იწყებს. ამბობენ სიმბოლურიაო.

**პაპუნა ძედია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIX ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ვესტ ჰემი (16[00]) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბლექბერნი — ასტონ ვილა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ქოვენთრი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ევერტონი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მანჩესტერი — ნოტინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| მიდლსბრო — ლივერპული | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნიუკასლი — ლიდსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შეფილდ უენსდეი — ლესტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — ჩელსი (16[00]) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| უიმბლდონი — ჩარლტონი (16[00]) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XX ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — შეფილდი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| დალტონი — არსენალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ჩარლსი — მანჩესტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დერბი — მიდლსბრო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ლიდსი — უიმბლდონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ლესტერი — ბლექბერნი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლივერპული — ნიუკასლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნოტინგემი — საუთჰემპტონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ტოტენჰემი — ევერტონი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვესტ ჰემი — ქოვენთრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — შეფილდ იუნაიტედი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბოლტონი — ბრედფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქრიუ — ბერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ჰადერსფილდი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — პორტსმუთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ოქსფორდი — კრისტალ პალასი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტოკპორტი — ბარნსლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სვინდონი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრანმერი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უოტფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVI ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ქუინზ პარკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბრედფორდი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბრისტოლი — სვინდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — ბირმინგემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| კრისტალ პალასი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| გრიმსბი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პორტ ვეილი — ბოლტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| პორტსმუთი — ოქსფორდი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| შეფილდ იუნაიტედი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სანდერლენდი — ქრიუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ვულვერჰემპტონი — იფსვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 29 დეკემბერი | | | |
| ნორვიჩი — უოტფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XX ტური

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — აბერდინი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კილმარნოკი — ჰართსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მოზერველი — დანდი იუნაიტედი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 27 დეკემბერი | | | |
| დანდი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური

29 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტიკი — კილმარნოკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ჰართსი — დანდი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სენტ ჯონსტონი — დანფერმლაინი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური

2 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მოზერველი — კილმარნოკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| რეინჯერსი — სელტიკი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სენტ ჯონსტონი — აბერდინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVI ტური

3 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ალავესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — ვალიადოლიდი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბეტისი — ვილიარეალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სარაგოსა — დეპორტივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რასინგი — ატლეტიკო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ესტრემადურა — მალიორკა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| რეალი — ტენერიფე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სელტა — ოვიედო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ვალენსია — სოსიედადი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| სალამანკა — ესპანიოლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVIII ტური

3 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ტოლედო — ბარსელონა B | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ეიბარი — ერკულესი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სპორტინგი — ოსასუნა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ლას პალმასი — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| მალიორკა B — ლეგანესი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ატლეტიკო B — მერიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რაიო ვალეკანო — რეკრეატივო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ლოგრონიესი — ორენსე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ლეიდა — სევილია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ნუმანსია — კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XVII ტური

3 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| შავეში — კამპომაიორენსე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| აკადემიკა — სეტუბალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — ბენფიკა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ამადორა — პორტუ | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| რიუ ავე — ბრაგა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბეირა მარი — სალგეირუში | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ფარენსე — ლეირია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მარიტიმუ — ბოავიშტა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გიმარაეში — ალვერკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XV ტური

6 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — პერუჯა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბოლონია — ლაციო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ფიორენტინა — სამპდორია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| მილანი — იუვენტუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პარმა — ინტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რომა — პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალერნიტანა — კალიარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| უდინეზე — ვიჩენცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვენეცია — ემპოლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XVI ტური

6 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ლეჩე | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| კიევო — კრემონეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| კოზენცა — რეჯანა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ჯენოა — რეჯინა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| მონცა — ვერონა | 2,9 | 2,6 | 2,4 |
| ნაპოლი — ლუკეზე | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| პესკარა — ფ. ანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რავენა — ბრეშა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტერნანა — ჩეზენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ტორინო — ტრევიზო | 1,9 | 2,6 | 4,2 |

### ჰოკეი. NHL

26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ნიუ ჯერსი — ბუფალო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| აილენდერსი — ბოსტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| პიტსბურგი — ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კაროლინა — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტამპა ბეი — ფლორიდა | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ჩიკაგო — ფილადელფია | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კოლორადო — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| სან ხოსე — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 27 დეკემბერი | | | |
| კალგარი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 28 დეკემბერი | | | |
| ბუფალო — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ოტავა — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვაშინგტონი — ბოსტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფლორიდა — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| დეტროიტი — სენტ ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| დალასი — ნეშვილი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ფინიქსი — ლოს ანჯელესი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| სან ხოსე — ფილადელფია | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 29 დეკემბერი | | | |
| ტამპა ბეი — აილენდერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — ფილადელფია | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| ედმონტონი — მონრეალი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ვანკუვერი — კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 30 დეკემბერი | | | |
| ტორონტო — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ოტავა — ბუფალო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| პიტსბურგი — ფლორიდა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| კაროლინა — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ნეშვილი — ბოსტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფინიქსი — რეინჯერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ლოს ანჯელესი — სან ხოსე | 1,9 | 4,4 | 2,1 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2,5 | ლაციო | 2,0 | რომა | 3,0 |
| იუვენტუსი | 3,0 | ჩელსი | 2,0 | პარმა | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 | მალიორკა | 3,0 | მარსელი | 4,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ლოკომოტივი | 8,0 | ბორდო | 5,0 |
| რეალი | 6,0 | მაკაბი | 15,0 | სელტა | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვარტექსი | 50,0 | ატლეტიკო | 6,0 |
| დინამო | 10,0 | ვალერენგა | 50,0 | ბოლონია | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 | პანიონისი | 50,0 | ლიონი | 10,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | **პორტუგალია** | | **გერმანია** | |
| მანჩესტერი | 2,0 | პორტუ | 1,4 | ბაიერნი | 1,01 |
| ჩელსი | 2,0 | ბენფიკა | 2,5 | ლევერკუზენი | 8,0 |
| ასტონ ვილა | 3,5 | სპორტინგი | 3,0 | **თურქეთი** | |
| არსენალი | 6,0 | ბოავიშტა | 6,0 | გალათასარაი | 1,4 |
| ლიდსი | 8,0 | **ჰოლანდია** | | ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ლივერპული | 8,0 | ფეიენოორდი | 1,5 | ბეშიქთაში | 2,5 |
| მიდლსბრო | 8,0 | აიაქსი | 2,2 | ტრაბზონი | 5,0 |
| **იტალია** | | ვიტესი | 5,0 | **შოტლანდია** | |
| ინტერი | 2,0 | ეინდჰოვენი | 6,0 | რეინჯერსი | 1,3 |
| ფიორენტინა | 2,0 | **ბელგია** | | სელტიკი | 2,5 |
| პარმა | 4,0 | ბრიუგე | 1,1 | კილმარნოკი | 6,0 |
| იუვენტუსი | 5,0 | გენკი | 3,5 | **ავსტრია** | |
| მილანი | 5,0 | სტანდარდი | 6,0 | შტურმი | 1,7 |
| რომა | 8,0 | ანდერლეხტი | 8,0 | რაპიდი | 2,0 |
| ლაციო | 8,0 | **საფრანგეთი** | | გრაცერი | 4,0 |
| **ესპანეთი** | | მარსელი | 1,3 | ლინცერი | 8,0 |
| რეალი | 1,8 | ბორდო | 2,5 | **შვეიცარია** | |
| მალიორკა | 2,0 | **პოლონეთი** | | | |
| ბარსელონა | 3,0 | ვისლა | 1,1 | სერვეტი | 1,8 |
| ვალენსია | 5,0 | ლეგია | 4,0 | გრასჰოპერი | 1,8 |
| სელტა | 5,0 | ლეხი | 8,0 | ციურიხი | 2,5 |
| ატლეტიკო | 5,0 | გურნიკი | 8,0 | ლოზანა | 4,0 |
| | | ვიძევი | 8,0 | | |

**CROCO** იმუშავებს პარასკევს, შაბათს, კვირას, ორშაბათს (ოთხშაბათის მაგივრად) და სამშაბათს. 1999 წელს **CROCO** მუშაობას განაახლებს 8 იანვრიდან

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# წავიდნენ, რათა გავიდნენ



ვახტანგ მეიფარიანი

**გუშინ გაუწყეთ, საქართველოს სტუდენტ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები იუგოსლავიის ქალაქ ნოვი სადში რომ გაემგზავრა სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძესთან საუბარიც შემოგთავაზეთ. ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშისას გუნდის კაპიტანს ვახტანგ მეიფარიანსა და სერგო დათუკაშვილსაც გავესაუბრეთ. სერგო თვენახევრით სტაჟირებაზე იმყოფებოდა გერმანიაში და მისი იქაური ამბებიც ძალიან გვაინტერესებდა. ჩვენდა გასაკვირად, ეს 20 წლის ტანმაღალი ჭაბუკი სულ რაღაც ოთხი წლის წინ მოსულა ხელბურთში, როცა გლდანის სპეციალიზებულ სკოლაში დაუწყია ვარჯიში ჯიმშერ დვალიშვილთან**

**— სერგო, კი მაგრამ, მანამდე სპორტის არც ერთ სახეობაში არ ვარჯიშობდი?**

— ბავშვობიდანვე ტანმაღალი ვიყავი. მაშინ დიღუბეში ვცხოვრობდით და მამაჩემმა ლევან დათუკაშვილმა, რომელიც თავადაც ფეხბურთელი იყო, ფეხბურთზე მიმიყვანა. ჯერ ვაჟა კაჭარავასთან ვვარჯიშობდი. წარმატებებიც მქონდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მერე ფეხბურთი საერთოდ ჩაკვდა და მეც ხელბურთში ვცადე ბედი. ნახევარი წლის შემდეგ უკვე ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი. 1996 წლის დასაწყისში, როცა ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ითამაშა ფინელებთან, შვეიცარიელებთან და ბელგიელებთან, უკვე სათადარიგოთა შორის ვიყავი და ხანდახან მოედანზეც გავდიოდი. წლეულს კი ევროპის ჩემპიონთა თასზე სტუ-„შევარდენის" შემადგენლობაში ბოსნია-ჰერცოგოვინის „ბორაცისა" და „ბარსელონას" წინააღმდეგ თითქმის შეუცვლელად ვითამაშე.

**— მოდი, ახლა იმ გერმანულ კლუბზე გვესაუბრე, სადაც სტაჟირებაზე იყავი.**

— ეს იყო სახელბურთო კლუბი „ლანცხუტი". ამავე სახელწოდების პატარა ქალაქი მიუნხენიდან 70 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. გუნდს ოლიმპიური ჩემპიონი, ჩვენებური ალექსანდრე ანპილოგოვი წვრთნის. სწორედ მან შესთავაზა ჩვენი კლუბის ხელმძღვანელებს სათამაშო კლასის ასამაღლებლად ჩემი გერმანიაში წასვლა. იქ 5 თამაში ჩავატარე და ერთ მატჩში 7-8 ბურთი გამქონდა. წამოსვლისას მეორე ოლიმპიური ჩემპიონის იური კლიმოვის გუნდ „ერლანგერში" გამსინჯეს. ესეც პატარა ქალაქია, კლიმოვიც, მოგეხსენებათ, ტიტულოვანი სპორტსმენია. ჩემი თამაში იმდენად მოეწონა, რომ მზად იყო, მაშინვე დავეტოვებინე გუნდში. მე კი თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

**— რა დონისაა კლიმოვის გუნდი?**

— მეორე დივიზიონის კლუბია, სატურნირო ცხრილში მუდამ ქვედა ნახევარშია. უკრაინის ნაკრების წევრი საშა გლადუნიც იქ თამაშობს. გუნდის გასაძლიერებლად ნორვეგიელი მაგნუს ანდერსონიც იყიდეს. თუმცა საეჭვოა, ხუთეულამდე მაინც მიაღწიონ. შუა იანვარში იქ უნდა ვიყო, სასინჯი ვადა მაისამდე დამითქვეს. თავიდან 1500 მარკას და არცთუ ურიგო პირობებს მთავაზობენ. თუ კლუბის ხელმძღვანელობა ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩება, ალბათ, უკეთეს კონტრაქტსაც გავაფორმებ.

**— შენი აზრით, თუ აქვს საქართველოს ნაკრებს სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების შანსი?**

— პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ბელგრადში ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან და ვფიქრობ, ქვეჯგუფიდან გასვლა უნდა შევძლოთ, ფავორიტებად კი იუგოსლავიელები, რუსები და უკრაინელები მიმაჩნია.

*სასაუბროდ გუნდის კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი გავიხმეთ.*

**— ვახტანგ, შევძლებთ ქვეჯგუფიდან გასვლას?**

— უკრაინელებთან გვითამაშია, რუმინელებსაც ასე თუ ისე ვიცნობთ, აი, ნიგერიელებზე კი წარმოდგენა არა გვაქვს. ვფიქრობ, ქვეჯგუფიდან გავიდეთ. ისე, ჯობდა, წილისყრით იუგოსლავიის ქვეჯგუფში მოვხვედრილიყავით. მასპინძლებს უფრო სუსტი გუნდები ერგოთ. შემდგომ ეტაპზე გასული ორი ჯგუფს შექმნიან. პირველადგილოსნები ფინალში ითამაშებენ, მეორენი — მესამე ადგილისთვის, მესამე ადგილზე გასულნი კი მეხუთე-მეექვსე ადგილებს გაინაწილებენ.

**— შენს პირად გეგმებზე მოგვითხარი.**

— მაისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები გველის პორტუგალიელებთან, სლოვაკებთან და ლატვიელებთან. მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს და მზადებისას მთელი ყურადღებაც ამას უნდა მივაპყროთ. მაისის შემდეგ კი, იქნებ უცხოურ კლუბშიც გადავიდე სათამაშოდ.

**ზურაბ ტაბატაძე**



1998 წლის 12 სექტემბერი. სტუ-„შევარდენი" — „ბორაცი". სერგო დათუკაშვილმა ბოსნიელებს ათი ბურთი გაუტანა



# ლოკომოტივი: სხვა გზა, სხვა მოტივი

**20 წლის წინათ, 1978 წლის 5 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის" მორაგბეებმა საკავშირო თასის ფინალში მოსკოვის „სლავას" მოუგეს და ქართული სპორტის მატიანე კიდევ ერთი ღირსეული გამარჯვებით გაამდიდრეს.**

**ყველას კარგად მოეხსენება, იმდროინდელ საკავშირო ჩემპიონატებში არარუსულ გუნდებს ნებისმიერი წარმატება რად უჯდებოდათ — ცალკე მეტოქეები უნდა დაგეჯაბნა (ისე, უბრალოდ, ვინ მოგაგებინებდა), ცალკე მსაჯების უნამუსობა. „ლოკომოტივმა" ეს შეძლო და ქართული რაგბი პირველი დიდი გამარჯვებით გაახარა. იმ გამარჯვებით, რომელიც საძირკვლად დაედო ქუთაისის „მშენებელის" მიღწევებს**



1978 წლის 5 ნოემბერი. „ლოკომოტივმა" თასი მოიგო

საკავშირო თასი იმ წელს მესამედ გათამაშდა. „ლოკომოტივმა" თასზეც და ჩემპიონატშიც ღირსეულად იბრძოლა და „სლავასთან" მისი გამარჯვება არავის გაკვირვებია.

მაშინდელი „ლოკომოტივი" მართლაც ძლიერი გუნდი იყო. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა. იმ სეზონში გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. მეტს ვერც შეძლებდა, რადგან რამდენიმე მატჩში ქულები აშკარად წაართვეს. გუნდის იმდროინდელი მოთამაშე-მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი და ერთ-ერთი ლიდერი, „სლავასთან" მატჩის გმირი დავით კილასონია განსაკუთრებული სინანულით მოსკოველ თანაკლუბელებთან სტუმრად გამართულ შეხვედრას იხსენებენ. რუსმა მსაჯებმა ყველაფერი იღონეს რუსთა გასამარჯვებლად. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი არ ყოფილა. საბოლოოდ, თბილისელები მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ ჩემპიონ კიეველებს, ვერცხლის მედლები კი მოსკოვის „ფილის" პირად შეხვედრებში ნაჩვენები უარყოფითი ბალანსით დაუთმეს. ამის შემდეგ თბილისელებმა აქცენტი თასის გათამაშებაზე გადაიტანეს და აკი ლელოც ბოლომდე გაიტანეს!

როცა ფინალური შეხვედრის პერიპეტიებზე ვესაუბრებოდი, ბენდიაშვილმა ესეც მითხრა, მაშინ მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა: „ჩვენ შეიძლება ანგარიშით წაგვეგო, მაგრამ თამაშს არასოდეს ვაგებდით".

მაინც რა განაპირობებდა გუნდის სიძლიერეს? უპირველესად, განსხვავებული ტაქტიკა. თბილისელები რეფორმატორები იყვნენ იმჟამინდელ საბჭოთა რაგბიში. სხვები გაშლილ, ხელით თამაშს უფრო ამჯობინებდნენ, თბილისელებმა კი ამას შერკინების ხაზის მჭიდროდ შეკრული თამაში შეურწყეს. ამ სიახლემ მათ საგრძნობი უპირატესობა მოუტანა შედარებით ერთფეროვნად მოთამაშე მეტოქეებთან ჭიდილში. „ლოკომოტივი" ერთი მიზნისთვის შეკრული გუნდი იყო. ყველამ იცოდა თავისი საქმე, იცოდა და ბოლომდეც იხარჯებოდა მოედანზე, რომლის მიღმა ყველანი მეგობრები იყვნენ. გუნდს ჰქონდა კონკრეტული მიზანი და უწყოდა, როგორ ევლო მიზნისკენ. ბენდიაშვილს არც ის დაუმალავს, რომ გაჭირვებისას მეტოქის ფსიქოლოგიურად დასათრგუნად ჩხუბსაც არ ერიდებოდნენ. ფინალში კი არ უჩხუბიათ. იმ შეხვედრაში იმდენად ვჯობდით მოსკოველებს, საამისო მიზეზი არც მოგვცემიაო, მითხრა კილასონიამ.

თასის გათამაშებაში თბილისელთათვის საჯილდაო ქვად ის მეოთხედფინალი იქცა, მოსკოვში „ფილის" რომ მოუგეს. ნახევარფინალში მონინოს სსა დაამარცხეს თბილისში. მართალია, იმ წელს ეს გუნდი ჩვეულად ვერ ბრწყინავდა, მაგრამ იგი ხომ საბჭოური რაგბის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იყო.

ამ ორმა გამარჯვებამ ნათელი გახადა, რომ თასის ფინალში ფავორიტები თბილისელები იყვნენ. აი, რას ამბობდა მატჩის წინ იმხანად ცნობილი მსაჯი მმაქსიმოვი: „ახლა ჩვენს ქვეყანაში თბილისის „ლოკომოტივი" ყველაზე მონოლითური, ტექნიკური, ყველაზე ძალისმიერი გუნდია და ეჭვიც არ მეპარება, რომ თასი თბილისში დარჩება". „ლოკომოტივმა" თასის პირველ გათამაშებაშივე დაამტკიცა, რომ ხელეწიფება მიზნად დასახულის მიღწევა. ამაზე საკავშირო პირველობაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლებიც მეტყველებს". — წერდა მოსკოვური გაზეთი. ეს ციტატები იმის დასტურია, რომ რუსებს „სლავა", ასე ვთქვათ, გამოტირებული ჰყავდათ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „ლოკომოტივის" გამარჯვება კიდევ უფრო ლოგიკური ჩანს. ამასთან, ორი წლის წინ, თასის პირველი გათამაშების ფინალში მონინოელებთან დამარცხების მოგონება ბიჭებს განსაკუთრებული ჟინით ახედებდა ვერცხლისფერი თასისკენ. თბილისელებს სწამდათ საკუთარი ძალისა და მოგება არ ეეჭვებოდათ. „ლოკომოტივმა" არ იცოდა მეტოქის შიში. „ვიცოდით, რომ ძლიერები ვიყავით და ამიტომ არავისი გვეშინოდა. არ არსებობდა მეტოქე, რომლის წინაშეც უიმედოდ, მარცხშეგუებული გავიდოდით" — იგონებს კილასონია.

თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩზე თბილისელები მოგების ჟინით სავსენი გავიდნენ. არც მაშინ შემდრკალან, როცა თამაშის დასაწყისშივე სტუმრები საჯარიმოთი დაწინაურდნენ. ძალები მოიკრიბეს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს.

შერკინების ხაზს კარგად უბამდა მხარს ჩინებული დამრტყმელი დავით კილასონია. წინა წლებში ამ ფუნქციას ავთანდილ გიორგაძეც კარგად ართმევდა თავს, ის სეზონი კი უდავოდ კილასონიასი იყო — სეზონში გუნდის მიერ საჯარიმო დარტყმებით მოპოვებული 193 ქულიდან 103 პირადად მისი წილი იყო. მან ფინალშიც თითქმის ყველა შანსი გამოიყენა.

მოედნის ცენტრში ანთაძე-ავლასტიმოვ-ელენტ-სალთხუციშვილის კვარტეტი მოქმედებდა. ისინი კონკრეტულ მომენტში მოედანზე შექმნილი ვითარების მიხედვით თამაშობდნენ და არა წინასწარი მონახაზით, როგორც მეტოქეთა უმრავლესობა.

ძალიან ძლიერები იყვნენ ფრთის მოთამაშეები — მიხეილ ხარშილაძე და ლიპარტელიანი. მეორე ხაზზე იდგნენ შოთა ხარშილაძე, ცისკარიშვილი, სუთიაშვილი, ჯვარიძე, ღიბრაძე და წერეთელი. გუნდის თამაშს მრავალფეროვნებას სძენდნენ მესამეხაზელები — პეტუხოვი, დოლიძე და ბენდიაშვილი. მეტად საპასუხისმგებლო ამპლუაში — მეთხუთმეტე ნომერზე თამაშობდა შინაურებსა თუ სარაგბო თემში უბადლო თამადად ცნობილი, დიდი ფიზიკური ძალის გამო „ლონედ" წოდებული ავთანდილ გიორგაძე.

ეს მართლაც დიდი მწვერვალების დასაპყრობად გამზადებული ჩინებული გუნდი-სამმო გახლდათ, რომელსაც დრომ ვლადიმერ პეტუხოვი და ავთანდილ გიორგაძე გამოაკლო.

– მატჩის დაწვრილებით აღწერას, აბა, რა აზრი აქვს. ამისთვის არსებობს იმდროინდელი პრესა, მატჩის სტენოგრამა. დღეს მხოლოდ ეს გავიხსენოთ: მიხეილ ხარშილაძემ ორი, ხოლო ლიპარტელიანმა, ბენდიაშვილმა და ჯვარიძემ თითო ლელო გაიტანეს, საჯარიმო-გარდასახვები კი ზუსტად ურტყა კილასონიამ. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიხეილ ხარშილაძე დაასახელეს.

ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო!

**ირაკლი თამაძე**

# ყველაზე და საუკეთესო

*ჩოგბურთის მორიგი სეზონი უკვე კარგა ხანია, დასრულდა. აღსანიშნავი და გამორჩეული მასში არაერთი მომენტი გახლდათ — იანა ნოვოტნას ყველასათვის სასურველი უიმბლდონური ტრიუმფი, სეზონის ბოლოს პისტოლ პიტის ზედიზედ მეექვსედ ზეობა, ანდრე აგასის და შტეფი გრაფის დაბრუნება, ლინდსი დევენპორტის დამსახურებული პირველი ჩოგნობა, პეტერ კორდას საფირმო კუნტრუში, დაუსრულებელი და უგუნური ტრავმები... ქვემოთ კი გასული სეზონების ყველა „საუკეთესოს" და „ყველაზეს" გთავაზობთ.*



საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი: ლინდსი დევენპორტი



საუკეთესო ჩოგბურთელი კაცი: პატრიკ რაფტერი

**საუკეთესო ახალბედა**

მარატ საფინი

**ყველაზე დიდი იმედგაცრუება**

გუსტავო კუერტენი

**საუკეთესო დარტყმა**

ბადესთან მორიგი შეცდომის შემდეგ კანადის ღია პირველობაზე მოასპარეზე გორან ივანიშევიჩს ბურთის მეორე მხარეს თავით გადაგდების იდეა მოუვიდა. პრობლემა ის გამოდგა, რომ ზუსტად იგივე აზრი, ზუსტად იმ წამს მის მეწყვილეს, ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე ხისთავიან (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) მარკ ფილიპუსისსაც გაუჩნდა.

დარტყმის შედეგად ივანიშევიჩს ცხვირი გაუტყდა, სისხლი ვერაფრით შეუჩერეს და ექვსი ნაკერი დაადეს. რა თქმა უნდა, მატჩიც შეწყდა.

„ამიერიდან მეწყვილეს ისეთს შევარჩევ, რომ თავით ნიკაპამდეც ვერ მწვდებოდეს" — განაცხადა მოგვიანებით ხორვატმა და „სკადთან" პარტნიორობას წერტილი დაუსვა.

**ყველაზე უდროო ორმაგები**

ჩეხეთთან დევისის თასის მეორე წრეში 3:0 დაწინაურების შემდეგ ავსტრალიის გუნდის წევრები — პატრიკ რაფტერი და მარკ ფილიპუსისი საფუძვლიანად და გვიან ღამემდე ეცნობოდნენ ვისკის ორმაგ პორციებს, ლუდსა და ადგილობრივი ბარის სხვა ალკოჰოლიან ასორტიმენტს. არავის გახსენებია, რომ კვირას მათ არაფრისგადამწყვეტი ერთეულთა მატჩებიც ელოდათ.

ნაბახუსევზე დილით ორივემ გაიმარჯვა, რაფტერმა კი მოგვიანებით აღიარა, გამოფხიზლება მხოლოდ პირველი ხელის შუაში დავიწყეო. სეტი დევისის თასის ისტორიაში ყველაზე გრძელი ტაი-ბრეიკით დასრულდა, რომელიც 15:13 ოზმა მოიგო, თუმცა ამის გაცნობიერება მხოლოდ თავისიანების შეძახილის შემდეგ მოახერხა.

**ყველაზე ერთგული მაყურებელი**

არკანზასის ფედერალური ციხიდან გაქცეული მკვლელისა და ნარკოტიკებით მოვაჭრე ემეტ ფრენკ მაკსვეინის შეპყრობას 10 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ, სანამ სამართალდამცავებს მოულოდნელ მოკავშირედ ჩოგბურთი არ მოევლინათ — თავის მორიგ სამყოფელში, დალასის გარეუბანში, მაკსვეინი ტელევიზორში ისეთი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალს, გონს მაშინღა მოვიდა, პოლიციელებმა კარი რომ შეუნგრიეს და დისტანციური მართვის პულტის დაგდება და ხელების თავსუკან შემოწყობა უბრძანეს.

**ყველაზე უმადური ჩოგბურთელი**

1994 წლის ლიპტონის ტურნირის ფინალის წინ თავისი ღორი მუცლითა და სუსტი კუჭით გამორჩეული პიტ სამპრასი ისე მოიწამლა, მატჩის დროულად დაწყება ველარ შეძლო. წესით და რიგით გამარჯვებულად მისი მეტოქე უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ანდრე აგასიმ დიდსულოვნება გამოიჩინა და მისი ნებართვით შეხვედრა ერთი საათის (მეტიაც) დაგვიანებით დაიწყო. —„მადლიერმა" სამპრასმა მორიგი ტიტული 5:7, 6:3, 6:3 მოგებით მიითვალა.

**საუკეთესო სპრინტერი**

ძნელი სათქმელია, რამდენმა მილიონმა მამაკაცმა ისურვა, უიმბლდონის 1996 წლის ფინალის წინ კორტზე გადმომხტარ სრულიად შიშველ ენთუზიასტ მელისა ჯონსონს კამერების წინ ცოტა ნელა ჩაერბინა.

**ყველაზე საჭირო ნივთები სლემების დროს**

ავსტრალიის ღია პირველობა: ყინული

საფრანგეთის ღია პირველობა: კორპსაძრობი

უიმბლდონი: ქოლგა

აშშ-ის ღია პირველობა: ფული

**ცხვირის ყველაზე მაღლა ამწევი**

მარტინა ჰინგისს თავდაჯერებულობას ნამდვილად ვერ დაუკარგავ. ქვემოთ გთავაზობთ მის გამონათქვამებს მეტოქეების, საკუთარი თავის ფასისა და სხვათა შესახებ:

როლან გაროსზე მატჩების ადრე დაწყებით გაღიზიანებული: „არ მიყვარს ადრე ადგომა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვარ, ასე რომ, უფლება უნდა მქონდეს, თავად გადავწყვიტო, ცენტრალურ კორტზე როდის ვითამაშებ".

მეგოლფე ტაიგერ ვუდსთან ხშირ შედარებებზე: „მომწყინდა სულ ამ ტაიგერ ვუდსზე საუბარი. მე მას გაცილებით ვჯობივარ, უფრო ახალგაზრდაც ვარ და მეტისთვისაც მიმიღწევია".

ლინდსი დევენპორტს მანჰეტენ ბიჩში შეხვედრის წინ: „გინდა,მოწოდება პირველივე გეიმში წაგართვა?"

**მარკ როსეს სახელობის პრიზი წლის ყველაზე არაკორექტული განცხადებისთვის:**

პირველობა ჰინგისს არც აქ დაუთმია. თავისი მომავალი მეტოქის, ანა კურნიკოვას შესახებ მარტინამ ერთ-ერთ ტურნირზე აღნიშნა: „კურნიკოვა გასახდელში კოსმეტიკის გარეშე ვნახე. ფიოდოროვი (რუსი ჰოკეისტი კურნიკოვას ბოიფრენდი) გადასასახლებელია".

**საუკეთესო სპონსორი**

იტალიის ღია პირველობაზე შარშან მატჩების დროს ტრიბუნებზე მობილური ტელეფონების გამოყენება აკრძალეს. პირველობის მთავარი სპონსორი „ტელეკომ იტალია მობილია" — მობილური ტელეფონების კომპანია.

**სპონსორების ყველაზე დიდი რისხვა**

1990 წლის „სალემის" პირველობის გამარჯვებულის ჩეკის მიღებისას ავსტრალიელმა პატ კეშმა აღნიშნა: „სპონსორისთვის მადლობის თქმა მინდა, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ სიგარეტის მოწევა სამარცხვინო რამ არის".

**საუკეთესო სამადლობელი სიტყვა**

1989 წლის „საოჯახო თასის" პირველობის ფინალისტის, ნატაშა ზვერევას ტირადა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მას საპრიზოებს ართმევდა: „ეს 24 ათასი დოლარის ჩეკია, მაგრამ ჩემთვის იგი მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯს წარმოადგენს". ზვერევას ამჟამად ანგარიშზე დაახლოებით 7 მილიონის საპრიზოები აქვს.

**საუკეთესო მატჩი ორი ერთზე**

1997 წლის აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში ჰინგისმა ტემი ჯონსს 6:0, 6:1 მოუგო. ჯონსი ოთხი თვის ფეხმძიმე გახლდათ და მატჩის შემდეგ სპორტიდან წავიდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ბავშვმა სარეკლამო კომპანიების უამრავი წინადადება მიიღო.

**კაპიტალისტური საზოგადოების არათანაბარუფლებიანობის საუკეთესო მაგალითი**

1997 წელს მარტინა ჰინგისმა საპრიზოებით 3,27 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა, 300 ათასით მეტი, ვიდრე ქალად შექმნილი ... NBA-ის 96-ე მოთამაშემ ერთად.

**ყველაზე ხელგაშლილი ქომაგი**

როლან გაროსზე ერთ-ერთმა ქომაგმა სიმების დამჭიმველს ჯიჯი ფერნანდესის ჩოგნის კოცნის სანაცვლოდ 200 ფრანკი შესთავაზა.

**საუკეთესო ჯილდო**

1997 წელს ინგლისის ბანანის საბჭომ ტიმ ჰენმანს „ჯანმრთელობის ბანანის პრიზი" გადასცა „უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ბანანის რეპუტაციის ამაღლებისთვის".

**საუკეთესო ჩოგბურთელი, რომლის გვარი პალინდრომია (წინიდანაც და უკნიდანაც ერთნაირად იკითხება).**

მონიკა SELES

**საუკეთესო ადგილი უწონადობის გამოსაცდელად**

არტურ ეშის სახელობის ცენტრალური კორტის უკანასკნელი რიგი

**საუკეთესო მიზეზი კომპეტენტური საგადასახადო მრჩევლის დასაქირავებლად**

პეტერ გრაფი

**საუკეთესო მიზეზი „მამის დღის" დღესასწაულის გასაუქმებლად**

ჯიმ პირსი

**საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ იდიოტები ყოველდღე იბადებიან**

ზოგიერთმა გაბრიელა საბატინის 2 495 დოლარიანი ფაიფურის თოჯინა მართლაც შეიძინა.

**ჩოგბურთის ბურთის საუკეთესო გამოყენება**

1996 წლის სექტემბერში კვებეკში ციხის ზედამხედველებმა ორი საეჭვო პირი დააკავეს, რომლებიც ციხეში ჩოგბურთის ბურთებს ისროდნენ. ბურთებში 29 გრამი ჰაშიში და 60 გრამი მარიხუანა აღმოჩნდა.

**საუკეთესო პასუხი**

მაიკლ ჩანგს სთხოვეს, პიტ სამპრასის სისუსტეები დაესახელებინა. მისი პასუხი: „მას საჭმელების კეთება არ ეხერხება".

**საუკეთესო მოპასუხე**

მუსტერს პრესკონფერენციაზე ყოველთვის მოეძებნება რამდენიმე საინტერესო იდეა. მაგალითად:

ბალახის კორტებზე თამაში დაოსტატების შესახებ: „მე მასზე ვითამაშებ, მასზე დავიძინებ, მას შევჭამ, ოღონდ, რა თქმა უნდა, არ მოვწევ".

როლან გაროსზე მიხაელ შტიხთან დამარცხების მნიშვნელობაზე: „იმედია, ხვალ დილით სარკეში რომ ჩავიხედავ, თმები სულ თეთრი არ მექნება".

რატომ თამაშობს ასე კარგად თიხნარზე: „იმიტომ, რომ ყოველ დილას თითო კოვზი თიხის ლეჭვით ვიწყებ".

მეორე ადგილი — გორან ივანიშევიჩი

პალმ სპინგსში თამაშის შესახებ: „აქ თამაში არ მიყვარს, რესტორანში შევდივარ და ყველა 100-150 წლისაა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ვიღაც ხელში ჩამაკვდება".

თავისი ბექჰენდის შეფასებისას: „იძულებული ვიყავი, სულ ფორჰენდები მერტყა, რადგან ჩემი ბექჰენდი „რულეტკას" ჰგავდა — წარმოდგენა არ მქონდა, საით წავიდოდა".

**მოამზადა**
**ავთანდილ სვანიძემ**



საუკეთესო დუეტი (დუელი): ალექს კორეტხა და კარლოს მოია

## კაცების კლასიფიკაცია

| | |
|---|---|
| 1. პიტ სამპრასი (აშშ) | 3915 |
| 2. მარსელო რიოსი (ჩილე) | 3670 |
| 3. ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 3398 |
| 4. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3315 |
| 5. კარლოს მოია (ესპანეთი) | 3159 |
| 6. ანდრე აგასი (აშშ) | 2879 |
| 7. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2620 |
| 8. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2579 |
| 9. გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2573 |
| 10. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2548 |
| 11. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2515 |
| 12. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 2137 |
| 13. პეტერ კორდა (ჩეხეთი) | 2114 |
| 14. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1823 |
| 15. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1792 |
| 16. ტოდ მარტინი (აშშ) | 1774 |
| 17. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1761 |
| 18. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1710 |
| 19. იან სიმერინკი (ჰოლანდია) | 1669 |
| 20. ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1643 |
| 21. ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) | 1556 |
| 22. ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1500 |
| 23. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1472 |
| 24. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 1439 |
| 25. ტომას მუსტერი (ავსტრია) | 1344 |
| 26. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 1285 |
| 27. ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) | 1280 |
| 28. ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) | 1259 |
| 29. მაიკლ ჩანგი (აშშ) | 1242 |
| 30. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) | 1216 |
| . . . | |
| 48. მარატ საფინი (რუსეთი) | 852 |
| . . . | |
| 69. ბორის ბეკერი (გერმანია) | 688 |
| . . . | |
| 76. ჯიმ კურიე (აშშ) | 635 |

## ქალების კლასიფიკაცია

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5664 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5266 |
| 3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 3734 |
| 4. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 3417 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3262 |
| 6. მონიკა სელეში (აშშ) | 3226 |
| 7. მარი პირსი (საფრანგეთი) | 2414 |
| 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2331 |
| 9. შტეფი გრაფი (გერმანია) | 2261 |
| 10. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2259 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2256 |
| 12. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 2073 |
| 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1971 |
| 14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1898 |
| 15. ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1830 |
| 16. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1770 |
| 17. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1752 |
| 18. აი სუგიამა (იაპონია) | 1398 |
| 19. სილვია ფარინა (იტალია) | 1389 |
| 20. სერენა უილიამსი (აშშ) | 1301 |
| 21. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1294 |
| 22 ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1200 |
| 23. ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1157 |
| 24. მაუი სერნა (ესპანეთი) | 1154 |
| 25. ივა მაიოლი (ხორვატია) | 1135 |
| 26. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1123 |
| 27. ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1054 |
| 28. ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 1041 |
| 29. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 961 |
| 30. ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) | 874 |
| . . . | |
| 51. მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) | 535 |
| . . . | |
| 75. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) | 350 |
| . . . | |
| 100. ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) | 268 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1998-ში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. პიტ სამპრასი | 3 931 497 | 1. მარტინა ჰინგისი | 3 175 631 |
| 2. მარსელო რიოსი | 3 420 054 | 2. ლინდსი დევენპორტი | 2 697 788 |
| 3. პატრიკ რაფტერი | 2 867 017 | 3. იანა ნოვოტნა | 2 039 912 |
| 4. ალექს კორეტხა | 2 702 569 | 4. ვინუს უილიამსი | 1 712 246 |
| 5. კარლოს მოია | 2 572 553 | 5. არანჩა სანჩეს ვიკარიო | 1 505 964 |
| 6. ევგენი კაფელნიკოვი | 2 543 077 | 6. მონიკა სელეში | 1 003 514 |
| 7. იონას ბიორკმანი | 1 916 237 | 7. ნატალი ტოზია | 990 224 |
| 8. გრეგ რუზეცკი | 1 860 437 | 8. ნატაშა ზვერევა | 931 945 |
| 9. ანდრე აგასი | 1 836 233 | 9. პატი შნიდერი | 901 828 |
| 10. გორან ივანიშევიჩი | 1 541 177 | 10. კონჩიტა მარტინესი | 859 417 |
| 11. ტიმ ჰენმანი | 1 448 770 | 11. მარი პირსი | 662 237 |
| 12. კაროლ კუჩერა | 1 402 557 | 12. შტეფი გრაფი | 537 577 |
| 13. პეტერ კორდა | 1 387 393 | 13. ამანდა კუტცერი | 534 948 |
| 14. მარკ ფილიპუსისი | 1 272 620 | 14. ირინა სპირლეა | 530 988 |
| 15. რიჩარდ კრაიჩეკი | 1 219 624 | 15. ანა კურნიკოვა | 526 633 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კომისარმა მუშტი დაჰკრა!

თურმე რამდენი ხანი გასულა 1 ივლისიდან. იმ დღეს ხომ ლოკაუტი გამოცხადდა. ეს უმალ მოსაგვარებელი საქმე ლამის ექვსი თვე გაჯანჯლდა და მალე იქნებ ყველაფერი დასრულდეს, ოღონდ არასასურველად. კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყოვლისშემძლე პატრიარქმა, კომისარმა დევიდ შტერნმა განაცხადა, ეს ყველაფერი ყელში ამომივიდა და ან 7 იანვრამდე მორიგდით, ანაც სეზონს მთლიანს კი არა, ნაკლულსაც გამოეთხოვებითო. ასეთი კატეგორიულობა იმან გამოიწვია, რომ ერთმანეთს დაუბრებულ მხარეებს — ერთის მხრივ, მოთამაშეთა ასოციაციას, მეორე მხრივ, ნბა-ს კლუბების მფლობელებს — იმდენად შესძულდათ ერთმანეთი, რომ მათმა შეხვედრებმა, რომელთაც თვლა არა აქვს, ყოველგვარი აზრი დაკარგა. რამდენიმე საათის განმავლობაში მონაწილეები ერთმანეთთან მხოლოდ საქმეს არჩევდნენ, ლობე-ყორეს ედებოდნენ, შედეგი კი არ ჩანდა. ჰოდა, მსოფლიოში უძლიერესი საკალათბურთო ლიგის მამასაც ყელში ამოუვიდა ამ მოლაპარაკებებზე უსასრულოდ წანწალი და მოდავეებს 1998-99 წლების სეზონის დახურვით დაემუქრა. დაემუქრა და აასრულებს კიდეც. ასეთი რამ კი დღემდე არ მომხდარა. ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომელიმე პროფესიულ ლიგას მთლიანად გაეუქმებინოს სეზონი. ახლა კი, დღევანდელი სიტუაციის შემხედვარე, ეს სავსებით რეალურია. შტერნის განცხადება მისმა მოადგილემ რას გრანიკმაც დაადასტურა: „თუ ვერ შევთანხმდებით, მე და დევიდი იძულებული ვიქნებით, სეზონი საერთოდ დავხუროთ.“ ამგვარად, შტერნს ცხელ გულზე არაფერი უთქვამს. მან და ნბა-ს ხელმძღვანელებმა ყველაფერი მოიფიქრეს, კარგად აწონ-დაწონეს და ულტიმატუმიც დასვეს. ასე რომ, მოდავეებს ერთილა დარჩენიათ: პირადი ურთიერთობები მეორე პლანზე გადაიტანონ და საქმეს დროულად მიხედონ, მით უმეტეს, რომ რაც უფრო გააჯანჯლებენ საქმის მოგვარებას, მით უფრო იზარალებენ. დღემდე უკვე 50 მილიონი დოლარი დაკარგეს მოთამაშეებმა და კიდევ მეტსაც დაკარგავენ, რადგან ფულის გადახდას უარობენ ის ფირმები, ვისთანაც მათ სარეკლამო კონტრაქტები აქვთ გაფორმებული.

ირაკლი ფირაშვილი



ნბა-ს მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტი პატრიკ იუინგი (მარჯვნივ) და მისი ნიუიორკელი თანაგუნდელი ჯონ სტარქსი

ოლიმპიზმი

# ოლიმპიური ფიასკო

სოლტ ლეიკ სიტიში უკვე ორი კვირაა, აღარავინ საუბრობს მომავალ ოლიმპიადაზე, ოქროს მედლების ფავორიტებზე, გახსნის თუ დახურვის ცერემონიალებზე, მშენებლობების დაჩქარებაზე.

ყოველივე ზემოთქმული იმ აურაცხელმა ბრალდებებმა შეცვალა, რაც მომავალი ზამთრის თამაშების ორგანიზატორებს ნიაღვარივით დაატყდათ თავს. ახლა ყველას ყურადღება იმ გამოძიებისკენაა მიმართული, რომლის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენი საჩუქარი, „მეგობრული“ სამსახური, ათასობით დოლარი დასჭირდა სოკ-ის წევრების დათანხმებას ამერიკული ქალაქის არჩევაზე.

ამის ფონზე საარჩევნო კომიტეტის წარმომადგენლის შელი ტომასის განცხადება თანამშრომლობისთვის მზადყოფნის შესახებ უფრო მწარე ირონიას ჰგავდა: „ჩვენ მზად ვართ, ყველა ჩანაწერი მივაწოდოთ და ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ გამოძიებას. ამისკენ მოვუწოდებთ ჩვენს ყველა ახლანდელ და ყოფილ თანამშრომელს“.

ამასობაში კი გამომძიებელ ორგანოთა ღდენობა კატასტროფულად მატულობს. სოკ-ი უკვე კარგა ხანია იკვლევს ბრალდებებს მისი წევრების ნათესავებისთვის სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ორგანიზების თაობაზე. საშშაბათს საგანგებო კომისია შექმნა აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმაც, რომელსაც სათავეში ყოფილი სენატორი ჯორჯ მიჩელი ჩაუდგა. დაბოლოს, თავის და ბოლოს გარკვევას ამ მღვრიე წყალში გამოძიების ფედერალური ბიუროც (FBI) შეეცდება.

„ჩვენ ვეძებთ სამართალდარღვევის შესაძლო ფაქტებს, მათ შორის სახსრების ანგარებით გამოყენებისას და ამისთვის სოლტლეიკსიტელ FBI-ის აგენტებს დავასაქმებთ“. — განაცხადა სპეციალურმა აგენტმა ჯონ მაკდონალდმა.

ჯერჯერობით სკანდალი მხოლოდ ოლიმპიური სიმბოლიკით მოვაჭრე მაღაზიების სალაროებს დაეტყოთ — ვაჭრობამ კატასტროფულად იკლო, სხვა მხრივ კი ოლიმპიადისთვის მზადება ჩვეულებრივ მიმდინარეობს — უკვე ცდიან ბობსლეისა და ციგაობის ტრასებს, თითქმის დასრულებულია დამატებითი ნაგებობები ჟურნალისტთა, მოხალისეთა და სპორისმენთათვის.

თუმცა როდემდე გასტანს მსგავსი ენთუზიაზმი, კაცმა არ იცის. ყველაზე დიდ საშიშროებად კი მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებს სპონსორთა შესაძლო რეაქცია ესახებათ: ამდენი აურზაურისა და უსიამოვნების გამომწვევ პროექტში მილიონების დაბანდებაზე მათ შესაძლოა უარიც კი თქვან.

ქახა არჯევანიძე

ჰოკეი

# დეკემბერი ჰაშეკის თვეა

23 დეკემბერი

**ნეშვილი — დეტროიტი 5:3**

1:1 3:1 1:1

0:1 შენაჰანი 3'09(17); 1:1 რონინგი 4'40(8); 2:1 ვოპატი 28'19(4); 3:1 რონინგი 37'36(9); 4:1 უოლკერი 39'08(4); 4:2 აიზერმანი 39'50(13); 5:2 უოლკერი 45'30(5); 5:3 აიზერმანი 58'57(14)

ლიგის დებიუტანტმა შობის წინ თავის ხანმოკლე კარიერაში ყველაზე გახმაურებული, შეიძლება ითქვას, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. „ქარიშხლებმა“ თვით დეტროიტს მოუგეს, თანაც ზედიზედ სამი მარცხით გამწარებულს. ჩემპიონებმა 53-ჯერ(!) დაარტყეს, რაც მათ მიერვე დამყარებულ სეზონურ რეკორდს სულ ოთხით ჩამორჩება. თანაც ლამის ყველა მათგანი რეალურ ხიფათს ქმნიდა მეტოქეთა კართან. სტუმრები ზოგჯერ ისე იყვნენ თავგზააბნეულნი, შაიბის მოცილების გარდა არაფერზე ფიქრობდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ და თანაც ვისთან. ნეშვილის კარში კლუბის მესამე მეკარე, ტომას ვოკოუნი იდგა, რომელსაც ლიგაში 10 თამაშიც არ ჩაუტარებია. თუმც გამოუცდელი გოლკიპერი კლდესავით იდგა და მხოლოდ სამჯერ გაუშვა, თანაც უკანასკნელი ბოლო წუთებზე, როცა ჩემპიონმა ყველანაირი იმედი დაკარგა და ბედს შეურიგდა.

**ბუფალო — ტამპა 2:0**

1:0 0:0 1:0

1:0 ჰოლცინგერი 16'29(11); 2:0 შატანი 40'56(10)

ისევე როგორც შარშან, დეკემბერი უეჭველად დომინიკ ჰაშეკის თვე იქნება. ჯერ იყო და, „დომინატორი“ ზედიზედ ორჯერ კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩემპიონატში შესრულებული 6 შათაუტიდან (სეზონში საუკეთესო შედეგია) ნახევარი დეკემბერზე მოდის, ამ თვის ლაურეატის ვინაობა, შეიძლება ითქვას, ეჭვს არ იწვევს. ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ ტამპელები ბოლო ექვს დღეში მეოთხე შეხვედრას ატარებდნენ და გადაღლილნი იყვნენ, მუდმივი წაგებებითა და მწვრთნელ ჟაკ დემერის მიერ შეფუცხუნებულებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ ჰაშეკთან ვერაფერს გახდნენ. ჩეხმა სტუმართა ყველა — 38 დარტყმა მოიგერია, მასპინძელთათვის კი ორმა გოლმა იკმარა.

**ფლორიდა — ვაშინგტონი 0:4**

0:0 0:2 0:2

0:1 იუჰანსონი 22'40(4); 0:2 ბელოუზი 36'21(5); 0:3 ნიკოლიშინი 45'23(3); 0:4 კონოვალჩუკი 55'01(3)

ჰაშეკისგან განსხვავებით, პლეი ოფის ტრიუმფატორი, ვაშინგტონელი ოლაფ კოლციგი საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორსაა და არასტაბილურად ასპარეზობს, თუმცა ამჯერად საუცხოოდ ითამაშა (29 მოგერიება და მე-3 შათაუტი). დედაქალაქელებს თასის ერთ-ერთი გმირი ჯო ჟუნო (1 პასი) დაუბრუნდათ, რომელსაც მწვრთნელებმა ერთი ხანობა გარჯა დაუწუნეს და ფარმ-კლუბში გაუშვეს.

**ვანკუვერი — კალგარი 5:2**

1:0 3:1 1:1

1:0 მუკალტი 6'37(11); 2:0 ზეზელი 22'44(6); 3:0 ნესლუნდი 26'20(17); 3:1 სტილმანი 37'30(9); 4:1 სკაჩარდი 39'21(7); 4:2 უილმი 49'12(4); 5:2 ნესლუნდი 59'17(18)

მარკ მესიეს არყოფნაში ვანკუვერმა მეორე დღესაც სძლია კალგარის. მარკუს ნესლუნდმა 3(2+1) ქულა დააგროვა.

**რეინჯერსი — კაროლინა 0:1**

0:0 0:0 0:1

0:1 შეპარდი 40'38(14)

კაროლინელთა წლევანდელ წარმატებაში მეკარეების ხელი ურევია, თანაც, კოლეგებისგან განსხვავებით, ორივე გოლკიპერი ჩინებულად თამაშობს. თუ რომელიმე ესა თუ ის მატჩი ჩააფლავა, მეორე ღირსეულად ცვლის მას მომდევნო შეხვედრაში. ტრევორ კიდმა წინა თამაშში 4 გოლი გაუშვა (მანამდე კი ორჯერ გამოირჩა) და სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ახლა ირბემ ნიუიორკელები არ გაახარა და მე-3 შათაუტი მიითვალა. მან ბოლო წამებზე ნედველის მიერ დარტყმული შაიბისგან ნამდვილად იხსნა თავისიანები.





დეტროიტის მეკარემ კრის ოსგუდმა ნეშვილელ სებასტიენ ბორდელოს შეტევა მოიგერია

**ტორონტო — დალასი 1:5**

1:3 0:1 0:1

0:1 მოდანო 4'00(9); 0:2 ჰალი 9'46(10); 1:2 ბერეზინი 16'02(10); 1:3 მოდანო 17'47(10); 1:4 ლეჰტინენი 25'41(11); 1:5 მოდანო 52'00(11)

ბრეტ ჰალი გამოჯანმრთელდა (ტრავმის შემდეგ ეს მისი მე-5 თამაშია) და დალასიც ძველებურად გაძლიერდა. „ვარსკვლავებმა“ იღბლიანი სერია 10 მატჩამდე გაზარდეს, ჰალის (1+1) და მისი მუდმივი პარტნიორების — მაიკ მოდანოსა და იერე ლეჰტინენისთვის (1+2) კი ტორონტოსთან შეხვედრა ბენეფისად იქცა. მოდანომ თავგზა აუბნია მასპინძელთა მეკარე კერტის ჯოზეფს, რომელიც უჩვეულოდ ხშირად ცდებოდა და სტუმართა წამყვანმა ცენტრმაც ჰეთ-თრიქიც მიითვალა.

**ჩიკაგო — ფინიქსი 4:3**

0:1 4:1 0:1

0:1 ილონენი 12'06(4); 1:1 უაიტი 24'35(2); 1:2 რენიკი 27'40(12); 2:2 გილმორი 29'15(4); 3:2 ამონტე 36'10(23); 4:2 გილმორი 39'04(5); 4:3 რენიკი 45'03(13)

რეი ბურკის წარმატებებმა ჩიკაგოს მცველი, ბოლო დროს ფრთებჩამოყრილი პოლ კოფი, ეტყობა, გამოაფხიზლა. ცნობილმა ჰოკეისტმა ფინიქსთან ახალგაზრდობა გაიხსენა და ერთბაშად 3 პასი გაახერხა (მანამდე ორთვენახევრის განმავლობაში სულ ერთ პასს ითვლიდა, ზოგჯერ კი ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდა).

**ედმონტონი — სან ხოსე 3:5**

2:2 1:2 0:1

0:1 კოროლიუკი 1'12(1); 1:1 ფალუნი 5'08(8); 2:1 მარჩანტი 16'44(5); 2:2 ფრიზენი 17'02(10); 2:3 შტურმი 21'10(7); 3:3 მაკამონდი 25'17(4); 3:4 შტურმი 31'14(8); 3:5 შტურმი 58'54(9)

ოდესღაც, კევინ კონსტანტინის მწვრთნელობისას, სან ხოსე რუსებით იყო სავსე. ახლა კი „ზვიგენებს“ მხოლოდ ალექსანდრ კოროლიუკიღა შერჩათ და მასაც კარგი თვალით არ უყურებენ. თუმცა ჰოკეისტმა, რომელიც დროდადრო ხვდება ხოლმე ძირითად შემადგენლობაში, ამჯერად მშვენივრად ითამაშა (1+2). სწორედ მისი და ახალგაზრდა გერმანელის მარკო შტურმის (ფორვარდმა კარიერაში პირველ ჰეთ-თრიქს 2 პასიც მიაყოლა) ძალისხმევით სტუმრებმა მოულოდნელად გაიმარჯვეს.

**ოტავა — მონრეალი 3:1**

0:1 1:0 2:0

0:1 რუჩინსკი 18'53(7); 1:1 მაკიჩერნი 31'41(13); 2:1 არვედსონი 56'55(7); 3:1 იაშინი 59'54(13)

მონრეალს საკუთარ ანტირეკორდამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა (+0=5-6).

**ნიუ ჯერსი — სენტ ლუისი 4:2**

2:2 1:0 1:0

1:0 ნიდერმაიერი 6'30(3); 1:1 დემიტრა 13'04(17); 2:1 ჰოლიკი 15'39(13); 2:2 გილი 19'59(2); 3:2 ჰოლიკი 28'09(14); 4:2 ჰოლიკი 50'50(15)

ნიუჯერსელთა სათამაშო კონცეფციის შეცვლა ყველაზე სასიკეთოდ ჩეხ ბობი ჰოლიკზე მოქმედებს. ბოლო 11 მატჩში მან 12 გოლი გაიტანა და შობის დღესასწაულს ბოლო ხუთ წელიწადში პირველი ჰეთ-თრიქით ხვდება.

**ბოსტონი — ფილადელფია 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 ლეკლერი 6'49(22); 1:1 ტორნტონი 36'10(4); 1:2 დეჟარდენი 46'51(4)

ამ თამაშის ბედი „მფრინავთა“ ლიდერების — ლინდროსის (2 პასი) და ლეკლერის ოსტატობამ გადაწყვიტა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეს უკანასკნელი, რომელმაც ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ ჯერ თვითონ გაიტანა და მერე გადამწყვეტი გოლიც მისი ჩინებული პასის შემდეგ გავიდა.

სამველ ლარიბიანი

**სატურნირო ვითარება**

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბუფალო | 29 | 18 | 5 | 6 | 85:51 | 41 |
| ტორონტო | 33 | 19 | 2 | 12 | 106:95 | 40 |
| ბოსტონი | 31 | 15 | 6 | 10 | 83:63 | 36 |
| ოტავა | 30 | 15 | 3 | 12 | 89:74 | 33 |
| მონრეალი | 33 | 8 | 7 | 18 | 71:95 | 23 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 34 | 16 | 5 | 13 | 86:78 | 37 |
| ფლორიდა | 29 | 11 | 6 | 12 | 73:80 | 28 |
| ვაშინგტონი | 30 | 10 | 3 | 17 | 64:78 | 23 |
| ტამპა | 33 | 8 | 3 | 22 | 68:116 | 19 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 31 | 19 | 4 | 8 | 94:78 | 42 |
| ფილადელფია | 32 | 15 | 8 | 9 | 88:71 | 38 |
| პიტსბურგი | 30 | 13 | 7 | 10 | 83:83 | 33 |
| რეინჯერსი | 32 | 11 | 7 | 14 | 84:87 | 29 |
| აილენდერსი | 33 | 12 | 2 | 19 | 82:96 | 26 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 32 | 17 | 1 | 14 | 99:87 | 35 |
| სენტ ლუისი | 30 | 11 | 8 | 11 | 79:76 | 30 |
| ნეშვილი | 31 | 12 | 3 | 16 | 75:96 | 27 |
| ჩიკაგო | 33 | 10 | 4 | 19 | 75:110 | 24 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 31 | 20 | 6 | 5 | 94:63 | 46 |
| ფინიქსი | 29 | 19 | 4 | 6 | 87:55 | 42 |
| ანაჰაიმი | 32 | 13 | 7 | 12 | 76:73 | 33 |
| სან ხოსე | 31 | 9 | 7 | 15 | 67:74 | 25 |
| ლოს ანჯელესი | 33 | 10 | 3 | 20 | 73:91 | 23 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 32 | 14 | 3 | 15 | 75:79 | 31 |
| ედმონტონი | 33 | 14 | 3 | 16 | 91:89 | 31 |
| ვანკუვერი | 32 | 13 | 4 | 15 | 94:95 | 30 |
| კალგარი | 33 | 12 | 3 | 18 | 92:100 | 27 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სიდნეიდან

გუშინ სიდნეიში, ბევრის მიერ პლანეტის ურთულეს რბოლად შერაცხული „ჰობარტ რეისი" დაიწყო. 116 მონაწილემ ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროდან 630 საზღვაო მილის მოშორებით ტასმანიისკენ აიღო გეზი. სურათზე კი თავის იახტა „ჰაი ფლაიერზე" (ჩვენებურად „მაღლა მფრენი") თავისუფლების ბოლო წუთებით მტკბობი პიტერ რაიტია გამოსახული, რომელსაც უახლოეს დღეებში წყნარ ოკეანესთან ჭიდილისას მობილურ ტელეფონზე სასაუბროდ ნაღდად არ ეცლება.

# ამომავალი მზის ქვეყანასაც გადაუფრინა

*რიჩარდ ბრენსონის გარსაქვეყნო კრუიზი გრძელდება. ინგლისელმა საფინანსო მაგნატმა ჰიმალაებისა და ჩინეთის უკან მოტოვების შემდეგ ამომავალი მზის ქვეყანასაც გადაუფრინა თავისი საჰაერო ბურთით და როგორც ამბობენ, მოგზაურობის ყველაზე სახიფათო ნაწილს — წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეებს მიაშურა.*



# მაიკი და კრისტი

დონ კინგისა და სხვა პრომოუტერების მცდელობით, ქალთა ორთაბრძოლები ამერიკაშიც იკიდებს ფეხს და ქალი მოკრივენი ხმაურიან შერკინებათა ანდერქარდშიც კი გამოჩნდნენ, რაც დიდი კრივისთვის პატარა ამბავი არ არის.

გერმანიასა და ინგლისში ერთობ ფეხმოკიდებული ქალთა კრივის ამერიკელებისთვის მირთმევა და აქედან მოგების ლოდინი იოლი საქმე სულაც არ არის. ამიტომ, ქალთა კრივის სარეკლამო კამპანია დიდი ხმაურით მიმდინარეობს.

ამასწინათ, ჟურნალმა „რინგმა" მაიკ ტაისონსაც კი ჰკითხა, ქალთა კრივზე როგორი აზრი გაქვთო. ტაისონი რომ ქალთაგან ერთადერთს, თავის ცოლ მონიკას ენდობა, ცნობილი ამბავია. მეორე ქალი კი ვინც ნდობისა და ადამიანური ღირსებების გამო მოსწონებია, მოკრივე კრისტი მარტინი ყოფილა. ტაისონის უნიკალურ საკრივო ვიდეოთეკაში თურმე კრისტის ბრძოლების ამსახველი ფირებიც ინახება და კიდევ მეტიც. თურმე, ტაისონი ხშირად უყურებს კრისტი მარტინის კრივს და ბევრ რამესაც სწავლობს მისგან.

და მაინც, ტაისონს ჰკითხეს: „რას ფიქრობთ ქალთა კრივზე? ამბობენ, რომ კრისტი მარტინის გამოსვლამ თქვენი და ბრუნოს ბრძოლის ანდერქარდში, თქვენ ჩრდილში მოგაქციათო".

მაიკმა მიუგო: „არასოდეს მიფიქრია, რომ ჩრდილში ვარ. მე კრისტის პატივსა ვცემ. მის ბრძოლას ყველა დამწყებმა მოკრივემ უნდა უცქიროს. ის საუცხოოა. სწორედ ისე მოძრაობს, ჩემი ცხონებული გამზრდელი კას დამატო რომ მასწავლიდა. მას რომ ვუყურებ, ბევრი მივიწყებული ილეთი მახსენდება და ხელახლა ვსწავლობ. ის ძალიან ინტელიგენტურია და უყვარს როცა კრივი ორმხრივია. მეტი რა გინდათ? ქალი და კრივი ისე იყვნენ ერთმანეთში, როგორც მე და ვაშლის საშობაო ნამცხვრის მომზადების ხერხი."

ტაისონს ასე რომ მოსწონს კრისტი მარტინი მხოლოდ სარეკლამო ამბავი არ არის. ტაისონმა კარგად იცის მოკრივის უნარისა და ნიჭის ამოცნობა. კრისტი მართლაც რომ გამორჩეული მოკრივეა და თან მაღალი დონისა, მაგრამ ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ამერიკას კი, ჯერჯერობით არა ჰყავს მარტინის დარი მდედრობითი საკრივო ვარსკვლავი. თუმცა, ქალთა კრივის საქმე წინ მიდის. განთქმულ ახალგაზრდულ შეჯიბრებაში, „ოქროს თათმანი" რომ ჰქვია და მომავალ ჩემპიონთა პირველ დიდ გამოცდად რომ ითვლება, უკვე გოგონათა ორთაბრძოლებიც შემოიღეს. ასე რომ, კრისტი მარტო აღარ იქნება.

სარბიელის არქივიდან



მაიკ ტაისონი და კრისტი მარტინი ლას ვეგასში „ემჯიემ გრანდის" საკონფერენციო დარბაზში.

ჩილელ საფეხბურთო ვარსკვლავ ივან სამორანოს ამიერიდან მარტო ბურთის დარტყმისას აღარ ეყოფა თავის გაქანება. მილანის „ინტერის" თავდამსხმელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის ელჩად დანიშნეს და ამ სურათზე სანტიაგოს ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს შორის ასე მომღიმარიც იმიტომაა გამოჭიმული.

REUTERS სანტიაგოდან



*პლაჟის ფრენბურთის პოპულარობაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. აკი ატლანტის ოლიმპიადის ორგანიზატორებმაც შეიტანეს თამაშების პროგრამაში. აზიელებმა, სხვებზე ნაკლებნი რითი ვართო და, ახლახან დამთავრებულ კონტინენტურ თამაშებში ტანკენარ და მომხიბვლელ აზიელ ფრენბურთელ ქალებსაც უხმეს. ამ ფოტოზე ფინალური შეხვედრის გასრულების წუთებია აღბეჭდილი. ტაილანდელმა დიაცებმა იაპონელებს 12:5, 12:8 მოუგეს, ერთ-ერთი ტაილანდელი სიხარულისგან მცხუნვარე მზით გახურებულ ქვიშაში ჩამხობილა და იქვე მდგომი იაპონელი მიკა საიკოს მწუხარებას არად დაგიდევთ. ერთიცაა, პლაჟზე მობურთალ ქალების შეხვედრებს მაყურებელიც არ აკლია, უმეტესობა კი, რა თქმა უნდა, მამაკაცია, რომელთაც თამაშსა და შედეგზე მეტად მოთამაშეთა ტან-ფეხის მზერა აინტერესებთ.*

REUTERS ბანგკოკიდან




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი

ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29